ანგარიშის ფორმა №1

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) სამეცნიერო ერთეულის დასახელება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)		

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა. ენათმეცნიერება (ლექსიკოლოგია).	2018-2022წწ.	ელზა ფუტკარაძე (პროექტის ხელმძღვანელი), ნანული ნოღაიდელი (შემსრულებელი), ციალა ნარაკიძე (შემსრულებელი), ნარგიზ ახვლედიანი (შემსრულებელი), ნაილე მიქელაძე (შემსრულებელი), ომარ მემიშიში (შემსრულებელი).

ანოტაცია

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერული თვალთახედვით საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს სამხრულ-დასავლური დიალექტები-აჭარული და ტაო-კლარჯული. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. განსაკუთრებით ღირებულია ის, რომ დღემდე სამეცნიერო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია ტაო-კლარჯული ლექსიკა. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ, 2013-2019 წლებში, ტაო-კლარჯეთში განხორციელებული კომპლექსური ექსპედიციების დროს მოძიებული სალექსიკონო მასალაც აისახება ლექსიკონში. პროექტით გათვალისწინებულ საკვლევ საკითხზე მუშაობისას გამოვლინდა ახალი ლექსიკური ერთეულები, ლექსიკური დიალექტიზმები. ეს,

<table>
<tr><td colspan="4">თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სალიტერატურო ენის განვითარებას, მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. გარდა აღნიშნულისა, კვლევა აქტუალურია იმიტომაც, რომ ტაო-კლარჯეთში ჯერ კიდევ შემონახული ქართული სიტყვა გადარჩება და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებში გამოაცოცხლებს ეროვნულ ცნობიერებას. ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში უამრავი სახასიათო ლექსიკური ერთეულია დაუნჯებული, ზოგი არქაული, ზოგიც საკუთრივ დიალექტის კუთვნილება. ბუნებრივია, ამ კუთხით კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს აჭარული და ტაო-კლარჯული კილოების ლექსიკური თავისებურებების საფუძვლიანი, სრულყოფილი შესწავლისათვის.
მიმდინარე წელს, განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოძიებული და ბარათებზე გადატანილი ლექსიკური ერთეულები დალაგდა ანბანურ რიგზე. მოხდა ლექსიკური ერთეულების შედარება ქართველურ ენათა შედარებით, ძველი ქართული ენის, სულხან-საბას, დ. და ნ. ჩუბინაშვილების, ა. მაყაშვილის, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებთან. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო განყოფილების ყველა მეცნიერ-თანამშრომელი (ე. ფუტკარაძე, ნ.ნოღაიდელი, ც. ნარაკიძე, ნ.ახვლედიანი, ნ. მიქელაძე, ო. მემიშიში).
პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიმდინარე ეტაპზე მოძიებული მასალა, საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. კვლევას აქვს თეორიულ -პრაქტიკული ღირებულება. აღნიშნული კვლევით არაერთი ლექსიკური ერთეული გამოვლინდა, რომელიც სათანადო ადგილს დაიჭერს აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონაში და შესაბამისად, გაამდიდრებს სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდს. ასევე, აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მცხოვრებთა ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში. საბოლოოდ კი, გამოიცემა დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა შემოგვინახავს დიალექტის ლექსიკურ სახეს. მასალას გამოიყენებენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები. ასევე, გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.</td></tr>
<tr><td>2</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა.

მეცნიერების დარგი: ქართველოლოგია (ეთნოლოგია)

სამეცნიერო მიმართულება – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, დემოგრაფიული და სოციოლოგიური შესწავლა</td><td>2018-2022</td><td><u>ნოდარ კახიძე</u> – პროექტის ხელმძღვანელი;

შემსრულებლები:
როინ მალაყმაძე,
ნაილა ჩელებაძე,
ჯემალ ვარშალომიძე,
რუსლან ბარამიძე
თამილა ლომთათიძე
ჯემალ მიქელაძე – ფოტო-ილუსტრაციები</td></tr>
<tr><td colspan="4">2020 წელს განხორციელდა პროექტის მესამე ეტაპის სამუშაოები, კერძოდ, ხელოსნობა-შინამრეწველობასთან დაკავშირებული საექსპედიციო მასალების შესწავლა. ეს მასალები შეკრებილია 1958-1984 წლებში და ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ ფონდებში. მოხდა ეთნოგრაფიული მასალის თემატური დამუშავება წლების მიხედვით, მასალების სისტემატიზაცია, გამოვლინდა მეტად საინტერესო მასალა აჭარაში ხელოსნობის ტრადიციების, მრავალფეროვანი დარგების (ხით და ქვით ხუროობა, მჭედლობა, მეთუნეობა, ხალხური ფეიქრობა), შინამრეწველობის პროდუქციის, ხელოსნობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ. მომზადდა საილუსტრაციო მასალები. მომზადებული მასალების საფუძველზე გამოიცემა პროექტის მესამე ტომი.</td></tr>
<tr><td>3</td><td>ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამო-</td><td>2018–2022</td><td>ნ.ჩხაიძე - პროექტის ხელმძღვანელი</td></tr>
</table>

	კითხვის მასალების მიხედვით)		

2020 წელს განხორციელდა პროექტის მესამე ეტაპის კვლევა - ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) ცხოვრების პირობების და საქმიანობის სოციოლოგიური შესწავლა. კვლევის მიზანი იყო უშუალოდ შშმ პირებს, წარმოეჩინათ ის საკითხები, რომელთა გადაჭრასაც მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნულმა სოციოლოგიურმა კვლევამ საშუალება მოგვცა გაგვერკვია შშმ პირთა აზრი მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ. კვლევის შედეგად, გამოვლინდა ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა გადაუწყვეტელობა აფერხებს შშმ პირების სრულ ინტეგრაციას საზოგადოებაში. კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა იწვევს მათ დისკრიმინაციას ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ პირთათვის შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა, რომელთა რეალიზება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, საკმაო საფუძველი იქნება იმისთვის, რომ შშმ პირებმა შეძლონ საზოგადოებაში სრული სოციალიზაცია და დაიწყონ დამოუკიდებელი, ღირსეული ცხოვრება.

4	**სამეცნიერო პრობლემა:** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემები (ქართველოლოგიური მეცნიერებები) **I თემა** : ქ. ბათუმში ფრ. ხალვაშის ქ. № 338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხთა შესწავლა	2020-2021	ოლეგ ჯიბაშვილი (პროექტის ხელმძ.-ლი) ოთარ თურმანიძე (შემსრულებელი) ირინე ვარშალომიძე (შემსრულებელი)

ეტაპი I (2020 წელი): **სამარხთა აღმოჩენისა და გახსნის ისტორია,**
პირველადი მოკვლევის შედეგები

ანოტაცია

2020 წ-ის დასაწყისში ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერთა ჯგუფს (ხელ-ი ო.ჯიბაშვილი) დაევალა ქ. ბათუმში ფრ. ხალვაშის ქ. № 338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე (შემდგომში - საკვლევი ტერიტორია) აღმოჩენილ სამარხთა შესწავლაში მონაწილეობის მიღება.

სამარხების შესახებ ინფორმაციამ პირველად 2015 წელს გაიჟღერა ზურაბ ჯიხაძისაგან, რომელიც საბჭოთა პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე დისლოცირებულ სატანკო ნაწილში მსახურობდა. მალევე შეიქმნა 1937-38 წლებში რეპრესირებულთა (დახვრეტილთა) სამარხების მოძიების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სხვებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ წარმომადგენლებიც შედიოდნენ. 2017 წელს საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების მიერ, ხელისუფლების ნებართვით, განხორციელდა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ოთხი სამარხის გახსნა. დაიწყო მიცვალებულთა ნეშტების ამოსვენება. 2019 წელს სამარხების საკითხმა დიდი რეზონანსი და საზოგადოებრივი ვნებათაღელვა გამოიწვია.

ბერძენიშვილის ინსტიტუტის კვლევითი ჯგუფი პრობლემის შესწავლაში 2020 წლის დასაწყისში ჩაერთო. უაღრესად არახელსაყრელ პირობებში (პანდემია, გადაადგილებისა და მოქმედების შეზღუდვა) მაინც მოხერხდა გარკვეული შედეგების მიღება.

განხორციელდა სამუშაო შეხვედრები საპატრიარქოსა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ ხელმძღვანელობასთან. დამუშავდა მოწოდებული მასალები, ჩატარდა ჩვენამდე გაწეული სამუშაოების მოკვლევა. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა საქართველოს ხელისუფლების, საპატრიარქოს, ქართველ მუსლიმთა კავშირის, არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ საკითხთან დაკავშირებით არსებული ძირითადი შეხედულებები.

საპატრიარქოს წარმომადგენელმა შესწავლისათვის გადმოგვცა სამარხების გათხრების დროს აღმოჩენილი ტყვიის მასრები და მონეტები. მასრების პირველადი დათვალიერებისას გაჩნდა ეჭვი, რომ ისინი არ იყო სამარხებში აღმოჩენილი დანარჩენი არტეფაქტების თანადროული. ეჭვების შესამოწმებლად მასრები გადავუგზავნეთ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. ექსპერტიზამ ჩვენი ვარაუდი დაამტკიცა - მასრები 1970-იანი წლების ნაწარმი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, ისინი მექანიკური გზით აღმოჩნდნენ შედარებით ადრეულ ფენებში (მიწის სამუშაოები, წყალდიდობის შედეგი...). შევისწავლეთ, აგრეთვე, სამარხებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა (17 ერთეული). ი.ვარშალომიძემ შეადგინა მათი კატალოგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია ნიკოლოზ I სახელით, ხლო გვიანდელი - 1937 წლით. 17 მონეტიდან ერთი არის იმპერიის დროინდელი, თექვსმეტი ერთეული კი საბჭოთა პერიოდის, ამასთან, 16 საბჭოთა მონეტიდან ერთია 1925 წელს მოჭრილი, დანარჩენი კი 1932-37 წლებშია მიმოქცევაში შესული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამარხების დათარიღების ქვედა ზღვარი, სავარაუდოდ, 1937 წელი უნდა იყოს. ჩვენი ჯგუფის ეს მოსაზრება ი.ვარშალომიძემ ირაკლი იმნაიშვილის დოკუმენტურ ფილმში - "უსაფლავო მიცვალებულები" - გაახმოვანა. აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, ეთნოგრაფიისა და სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომლებს (განყოფილების უფროსი - თემურ ტუნაძე), რომლებსაც სპეციფიკური დახმარებისათვის მივმართეთ, მათ კი უსასყიდლოდ ჩაუტარეს მონეტებს გაწმენდითი და გამაგრებითი სამუშაოები. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე (აღმოჩენილი არტეფაქტები, ნეშტების სპეციფიკური პოზები, ნატყვიარები თავის ქალებში...) დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ საკვლევ სამარხებს არანაირი კავშირი არ აქვთ 1918-1921 წლებში აჭარაში დაღუპულ თურქ ჯარისკაცებთან (არსებობს ასეთი ვერსიაც). ისინი, დიდი ალბათობით, 1937-38 წლების რეპრესიის მსხვერპლთ ეკუთვნით. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს აჭარაში რეპრესიების ცნობილი მკვლევარის ო.თურმანიძის დასკვნაც, რომელიც მიუთითებს, რომ მასობრივი, ჯგუფური დახვრეტები, აჭარაში, ძირითადად, სწორედ 1937-38 წლებზე მოდიოდა. მიმდინარე წლის 22 დეკემბერს პროექტის ხელმ-მა ო.ჯიბაშვილმა, ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორ რ.მალაყმაძესთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ „აჭარაში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა მასობრივი სამარხების საკითხზე“ გამართულ ონლაინ-დისკუსიაში. ო.ჯიბაშვილმა ონლაინ-დისკუსიაში თავისი შეხედულებები დააფიქსირა. ბევრ საინტერესო მომენტს მოჰფენს ნათელს საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მეხუთე სამარხი, რომლის გახსნა პანდემიის გამო 2020 წელს ვერ მოხერხდა. პანდემიამ, ზოგადად, ძალზედ შეგვიშალა ხელი მუშაობაში. ამიტომაც, სამუშაოების ნაწილის 2021 წელში გადატანა მოგვიხდა. ვფიქრობთ, მომდევნო სამუშაო წელი ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნება.			
	II თემა : ეროვნულ-განმათავისუფლებე-ლი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV ს. - XX ს-ის 90-იან წწ.	2018-2022	უჩა ოქროპირიძე (პროექტის ხელმძ.-ლი) ოთარ თურმანიძე (შემსრულებელი) მერაბ მეგრელიშვილი (შემსრულებელი)
5	I ქვეთემა: ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ სქართველოში (აჭარა) 1950-დან 1990-იანი წლების პირ-ველ ნახევარში	2018-2022	უჩა ოქროპირიძე (შემსრულებელი)
ეტაპი III (2020 წელი): **ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) 1987-1991 წლებში**			

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ეროვნული მიმართულების ორგანიზაციათა - ილია ჭავჭავაძის, ილია მართლის, შოთა რუსთაველის საზოგადოებების, საქართველოს სახალხო ფრონტის, საქართველოს ედპ-ს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიებისა თუ სხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მათ მიერ წარმოებული საქმიანობა სამხრეთ-დასვლეთ საქართველოში (აჭარა). 1988 წლის შემოდგომის აქციები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მონაწილეობით;

რეგიონში ეროვნული მოძრაობის ძალთა განსაკუთრებული გააქტიურება 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის შემდეგ და მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, 1989 წლის ცხელი გაზაფხულისა და განსაკუთრებით, 1989-1990 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციები.

საჭირო ფორმატში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ფორუმის შექმნა და 1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლა, მანამდე კი 1990 წლის 18 მარტს ქობულეთსა და ბათუმის გრანდიოზული აქციები ლენინის ძეგლების ჩამოგდებით; ბრძოლა საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და კონგრესის მომხრეებს შორის, პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში და მისი თანმდევი მოვლენები სამხრეთ-დასვლეთ საქართველოში (აჭარაში). აქ ეროვნული ხელისუფლების სტრუქტურების ჩამოყალიბება და ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა; საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სამხრეთ-დასვლეთ საქართველოში არსებული ვითარება მის წინა და მახლობელ პერიოდში. გაანალიზებულია სამხედრო-კრიმინალური დაჯგუფებათა გააქტიურების და სახელმწიფო გადატრიალების წინაპირობები, საქართველოში პუტჩის დაწყება და მისი შედეგები.

6	II ქვეთემა: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მასობრივი რეპრესიები აჭარაში XX საუკუნის 20-40-იან წლებში	2018-2022	ოთარ თურმანიძე (შემსრულებელი)

ეტაპი III (2020 წელი): **რეპრესიების ობიექტი, ფორმები, მეთოდები და თავისებურებანი აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში**

ანოტაცია

ნაშრომი „რეპრესიების ობიექტი, ფორმები, მეთოდები და თავისებურებანი აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში“ ორიგინალური გამოკვლევაა და საისტორიო მეცნიერებაში სიახლეს წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია რეპრესიების არსი, ფორმები და მეთოდები. ნაჩვენებია ამ რეპრესიების თავისებურებანი აჭარაში. აღნიშნულია, რომ აჭარაში, როგორც დანარჩენ საქართველოში, რეპრესიები გასაბჭოებისთანავე დაიწყო. ამასთან, 20-იანი წლებისა და 30-იანი წლების პირველი ნახევრის რეპრესიები თავისა არსით, ფორმებითა და მეთოდებით მკვეთრად განსხვავდებოდა 1937-1938 წლებისა და მომდევნო პერიოდის რეპრესიებისაგან. 20-იან წლებსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში აჭარაში ძირითადად განხორციელდა ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათის რეპრესიები.

XX საუკუნის 20-იან წლებსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში აჭარაში დახვრეტები სისტემური და მასშტაბური არ ყოფილა. პოლიტიკური რეპრესიები ძირითადად გამოიხატა არაკომუნისტური პარტიებისა და ორგანიზაციების აკრძალვით, მათი ლიდერებისა და აქტივისტების დაპატიმრება-გადასახლებით. ნაშრომში შესწავლილია კაპიტალისტებისა და მემამულე-თავადაზნაურების კერძო საკუთრების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია. წარმოების საშუალებები და საყოფაცხოვრებო ობიექტები უსასყიდლოდ

ჩამოართვეს კაპიტალისტებსა და მემამულე-თავადაზნაურებს. ხელისუფლებამ განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა მემამულე-თავადაზნაურების: ხიმშიაშვილების, აბაშიძეების, ბიბინეიშვილების, ბეჟანიძეების, შერვაშიძეების, წულუკიძეების და სხვათა წინააღმდეგ. კერძო საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ისინი აჭარიდან გადაასახლეს ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში და რუსეთში. არაერთი მათგანი ამ ავბედითი პროცესის მსხვერპლი აღმოჩნდა.

ნაშრომში გაშუქებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული რეპრესიები. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ საყოველთაო კოლექტივიზაციის განხორციელებისას გააძლიერა ბრძოლა შემლებული გლეხების წინააღმდეგ. ისინი კულაკებად შერაცხეს. კულაკების სიაში შეიყვანეს ყოფილი თავადაზნაურებიც და ყველა მათგანი აჭარიდან რუსეთის უკაცრიელ ადგილებში გადაასახლეს. ნაშრომში გაანალიზებულია იდეოლოგირი ხასიათის რეპრესიები, რომლებიც განხორციელდა არაკომუნისტური პარტიებისა და სასულიერო პირების წინააღმდეგ. დასკვნაში შეჯამებულია კვლევა - ძიების ძირითადი შედეგები.

7	III ქვეთემა: ეროვნულ-განმათავისუფლებე-ლი ბრძოლა ბათუმის ოლქში 1900-1921 წლებში	2019-2022	მერაბ მეგრელიშვილი (შემსრულებელი)

ეტაპი II (2020წელი): **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი ბათუმის ოლქში 1900-1906 წლებში**

ანოტაცია

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა, იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ქართველ ხალხს სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი პოილიტიკური მოძრაობის გამოცოცხლება. ანტირუსულ მოძრაობაში ჩართული ძალების სოციალური და ეროვნული ნიშნით დაყოფამ გამოიწვია დაქსაქსულობა და დაპირისპირება, რამაც საბოლოოდ უარყოფითი როლი შეასრულა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე.

რუსეთის ხელისუფლება ყველა ხერხს მიმართავდა აჭარაში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანების დასაპირისპირებლად. მუსლიმანური რელიგიის ქართულ ენასთან დაპირისპირების მიზნით დაუშვეს რუსულთან ერთად თურქული ენის გამოყენება. ამის მისაღწევად კი რუსეთის ხელისუფლება უზრუნველყოფდა აჭარაში მოქმედი რელიგიური საზოგადოებების თავისუფალ ქმედაბას.

XX საუკუნის დასაწყისში ანტირუსული მოძრაობის გამოცოცხლებას რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მოჰყვა კონტრ-ღონისძიებები.

რუსეთის ხელისუფლება თავის სადამსჯელო ქმედებას ამართლებდა იმით, რომ რუსეთის მეფისნაცვალი მხოლოდ ასეთი მიდგომის შემთხვევაში შეძლებდა სრულყოფილად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, კრიზისულ შემთხვევაში კი მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით პოლიციის გამგებელს ეძლეოდა სრული უფლება სოციალ-ეროვნული პროტესტით გამოწვეული გამოსვლების წინააღმდეგ განეხორციელებინა რეპრესიები. სამხედრო გუბერნატორის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ხშირ შემთხვევაში ანტისახელისუფლებო გამოსვლების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ ქმედებებს არ მოჰქონდა დადებითი შედეგები, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების „კანონიერი ქმედებების“ მიმართ ეკარგებოდათ რწმენა.რუსეთის ხელისუფლება კავკასიის პოლიციის გამგებელს რეკომენდაციას აძლევდა, რეპრესიები განეხორციელებინა მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეული, განსაკუთრებული შემთხვევების დროს.

1900-1906 წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ ბათუმის ოლქში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება. წლიურ ნაშრომში გაანალიზირებულია XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბათუმის ოლქში წარმოებული განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული ფაქტები და მოვლენები.			
	III თემა: ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)	2018-2022	გიორგი თავამაიშვილი (პროექტის ხელმძ.-ლი) ნინო ინაიშვილი (შემსრულებელი) მაია ჭიჭილეიშვილი (შემსრულებელი) ირინე ვარშალომიძე (შემსრულებელი) სულხან მამულაძე (შემსრულებელი)
8	I ქვეთემა: **ციხისძირის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი**	2020	გიორგი თავამაიშვილი (შემსრულებელი)

ანოტაცია

ციხისძირის (ახლანდელი სოფელი ციხისძირი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, აჭარა) ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქის მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია აღმოჩენილი, თუმცა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე მდებარე ეს ძეგლი ფართო საზოგადოებისთვის უფრო პეტრას ნაქალაქარის სახელითაა ცნობილი. ამავე დროს, პეტრა-ციხისძირის აკროპოლისის აღმოსავლეთით, ბათუმ–ქობულეთის საავტომობილო გზასთან გამოვლენილია ძველკოლხური ნამოსახლარი, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და ადრებიზანტიური ხანის კულტურულ ფენებს შეიცავდა. შეიძლება ითქვას, რომ რომ ქობულეთის „ქვეყანა“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის წამყვანი რეგიონია, რომელიც არქეოლოგიურად შედარებით უკეთაა შესწავლილი. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ზღვისპირეთის ნივთიერი კულტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, ქრონოლოგიურად სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას მოიცავს და გარკვეული თვითმყოფადობით გამოირჩევა. ამ მიკროქვეყნის ნივთიერი კულტურა მოითვლის როგორც ნეოლითის, ასევე ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის, ადრე რკინის, ასევე ანტიკური პერიოდის და შუასაუკუნეების ეტალონურ ძეგლებს.

1964 წელს ციხისძირის მიდამოებში აღმოჩენილი იქნა ძველი კოლხური ნამოსახლარი, საიდანაც ციხე–ქალაქი უნდა განვითარებულიყო. ექსპედიციამ 1962 წელს პეტრა–ციხისძირის გათხრებისას აღმოაჩინა გვიანი ბრინჯაო–ადრერკინის ხანის და ანტიკური პერიოდის ფენების შემცველი სამოსახლოს ნაშთები. ძეგლის კულტურული ფენები დაცულია პეტრას შიდაციხის ჩრდილო–აღმოსავლეთით მიმდებარე „განკიდული გორის“ დასავლეთ ძირობაზე. მისი დასავლეთი მხარე გზის მშენებლობისას ჩამოიკვეთა, რომლის დროსაც კულტურული ფენები გაშიშვლდა და დაზიანდა.

გათხრების შედეგად ოთხი კულტურული ფენა გამოვლინდა, რომლებიც სამოსახლოზე ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს შეესაბამება. ადრეული, მეოთხე ფენა, წინაანტიკური მასალების შემცველია. ამავე ფენის მეორე დონეზე კერამიკული წარ¬მოების ნაშთები დადასტურდა. ფენაში წარმოდგენილია ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკა – სამეურნეო და საოჯახო ჭურჭელთა (კანელურებიანი, ზედაპირმოსწორებული ადრეული ქვევრები და დერგები, ზოომორფულყურებიანი, ზედაპირმოსწორებული ქოთნები და კოჭბები და სხვ.), აგრეთვე სარიტუალო კერამიკულ ნაკეთობათა (მასიურ დაბალტანიან, წყვილქიმიან და ცალქიმიან სადგართა) ნაშთები, ბადის საწაფები, ხელსაფქვავები, ნაგებობათა (სარლასტიანი) ბათქაშები და ა.შ. ამ ფენაში იმპორტული კერამიკა არ დადასტურებულა. ამდენად, იგი უეჭველია, წინაანტიკურ ხანას განეკუთვნება. როგორც რადიონახშირბადის მეთოდით დათარიღებამ დაადასტურა, მეოთხე ფენის საწყისი ეტაპი ძვ.წ. IX ს. უნდა განეკუთვნებოდეს. დაახლოებით ამავე თარიღს შეესაბამება მეოთხე ფენაში მოპოვებული კერამიკა (კანელურებიანი ქვევრები, ზოომორფულყურებიანი ქოთნები). საყურადღებოა, სხვათა შორის, მათი თანხვედრილობა სხვა

	სინქრონული ძეგლების – ფიჭვნარის დიუნური სამოსახლოების, ცეცხლაურის რკინის მეტალურგიული სახელოსნოების და სხვა ძეგლების ანალოგიური პერიოდის მასალებთან. მესამე ფენა ადგილობრივ, კოლხურ მასალებთან ერთად შეიცავს იმპორტულ კერამიკას. ამდენად, იგი მეოთხე ფენისაგან გამოიყოფა. მესამე ფენაში დამოწმებულია ადრეული იმპორტული, კერძოდ იონური კერამიკისა (სადაზოლებიანი ამფორები (?), ოინოხოია და ა.შ.) და ადრეანტიკური ხანის (შავლაკიანი კერამიკა, ქიოსური და სამოსური ამფორები და ა.შ.) ფრაგმენტები, რომელთა მიხე-დვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ფენის წარმოქმნა ძვ.წ. VI ს. მეორე ნახევარსა და ძვ.წ. V ს. უნდა განეკუთვნებოდეს (შდრ. მასალები ბათუმის ციხიდან, ფიჭვნარიდან). ამავე ფენაში, მასობრივად არის დამოწმებული ადგილობრივი, კოლხური კერამიკა, რომლის ერთი ნაწილი წინაანტიკურ ხანას ეკუთვნის და ამ ფენაში ანტიკურ ხანაში სამოსახლოს ფერდობიდან ჩამორეცხვის შედეგადაა მოხვედრილი, ხოლო დიდი ნაწილი – ადრეანტიკური ხანის ადგილობრივი სამეურნეო და საოჯახო დანიშნულების (მასიურ ქვევრთა, დერგებისა და საოჯახო ნაკეთობათა ნაშთები) ნაწარმს წარმოადგენს. სამოსახლოს მეორე ფენა ელინისტურ ხანას შეესაბამება. ფენის შექმნის დროს ფერდობებიდან ჩამორეცხვის შედეგად მასში მოყოლილია აგრეთვე უფრო ადრეული – წინაანტიკური და განსაკუთრებით ადრეანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-V სს) მასალები. ფენაში გვხვდება შავლაკიანი კერამიკის, იმპორტული ამფორების, სადა ჯამებისა თუ ფიალების ნატეხები. მეორე ფენის დროის განმსაზღვრელია სოლენის ტიპის კრამიტი, აგრეთვე ადგილობრივი, კოლხური ყავისფერკეციანი ამფორები და მათი თანადროული ნაირნაირი სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის კერამიკული ნაკეთობანი, რაც ფენის ელინისტურ ხანაში შექმნის უტყუარი მოწმობაა. სამოსახლოს პირველი ფენა, რომელიც შედარებით მცირე მასალებს იძლევა, გვიანანტიკურ ხანას განეკუთვნება. ამ ფენაში მოიპოვება, როგორც რომაული ხანის (ახ. წ. III-IV სს.) ამფორათა ნატეხები, რომელთა ანალოგები ფართოდ არის დადასტურებული ჩრდილოეთ შავიზღვის-პირეთის რომაული ხანის ძეგლებზე, ასევე აქვე გვხვდება ადრეფეოდალური ხანის იმპორტული და ადგილობრივი კერამიკის (გვერდებამოღარული და წელშეზნექილი ამფორები, კრამიტი და ა.შ.), ფრაგმენტები (შდრ. ციხისძირი (ში¬დაციხე), ფიჭვნარი, გონიო, ბათუმის ციხე). ციხისძირის მოსახლეობა, როგორც წარმოდგენილი მასალების შესწავლით ცხადი ხდება, დასაქმებული ყოფილა მიწათმოქმედებასა და მეთუნეობაში, მეთევზეობასა და მესაქონლეობაში და ა.შ. სავარაუდოა, რომ ჩაქვის დასახლებასთან ერთად მას ემსახურებოდა ამ რაიონის ადრერკინის ხანის მეტალურგიული სახელოსნოები ს. კვირიკესა და ს. შუაღელეში. ციხისძირის მოსახლეობას, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირი ჰქონია ფიჭვნარის ძველ სამოსახლოებთან. ხოლო, მეორე მხრივ, ქობულეთ–ფიჭვნარის ანტიკური ქალაქის მეშვეობით თუ უშუალოდ ბერძნული სამყაროს არა ერთ ცენტრთან. გვიანბრინჯაო–ანტიკური ხანის ციხისძირის მოსახლობა სამხრეთ–აღმოსავლეთ შავი-ზღვსიპირეთის იმ რიგის სამოსახლოებს განეკუთვნება, როგორიცაა წინაანტიკური და ანტიკური ხანის გორა–ნამოსახლარები: ქობულეთ–ფიჭვნარი („ნამჭედური“ და სხვ.). ხუცუბანი, კოხი, ჩაქვი (ქობულეთის რაიონი), ბათუმის ციხე, მახვილაური, ომბოლო, ზემო ჯოჭო, მახო და ა.შ. (ხელვაჩაურის რაიონი). ციხისძირის მიდამოებში გვიანბრინჯაო–ანტიკური ხანის გორა–სამოსახლოს დადასტურებით ამჟამად მეტი დასაბუთება ეძლევა პროკოპი კესარიელის ცნობას იმის შესახებ, რომ ბიზანტიელებმა პეტრა ძველი უმნიშვნელო ციხის ბაზაზე ააშენეს. ამდენად, ახლა უკვე შეიძლება დავასკვნათ, რომ ციხისძირში ცხოვრება ხოლოდ ადრეფეოდალურ ხანაში კი არ დაწყებულა, არამედ ამ ადგილას მოსახლობა გაჩენილა გაცილებით ადრე – გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანაში და მას არსებობა არ შეუწყვეტია თვით ადრეფეოდალურ ხანაშიაც. როგორც ჩანს, ადრეფეოდალურ ხანაში ბიზანტიელებმა პეტრას ციხე და ქალაქი სწორედ ამ ძველი მოსახლობის ბაზაზე ააშენეს.		
9	II ქვეთემა: **ციხისძირის ანტიკური ხანის ნამოსახლარი**	2019	ნინო ინაიშვილი (შემსრულებელი)

ანოტაცია

პეტრა-ციხისძირის ციტადელის ჩრდილო–აღმოსავლეთით, ბუნებრივი ბორცვის დასავლეთი ფერდის ძირში 1964 წელს მიკვლეული იქნა ძველკოლხური სამოსახლოს ნაშთები. სამოსახლო აღმოჩნდა საავტომობილო მაგისტრალის გაფართოების დროს, ბორცვის დასავლეთი ფერდის ჩამოჭრის შედეგად. მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი იქნა ნამოსახლარი ოთხი კულტურული ფენით, რომლებიც ბორცვზე ცხოვრების სხვადასხვა ეპოქას შეესაბამება.

უძველესი მეოთხე ფენა თარიღდება ადრერკინის ხანით (ძვ.წ. IX-VIII საუკუნეები) და წარმოდგენილია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი კოლხური კერამიკით (ამოღარულზედაპირიანი ქვევრების, ზოომორფულყურიანი ჭურჭლების) ფრაგმენტებით. ამავე ფენას განეკუთვნება თიხის რიტუალური რქისებრშვერილიანი სადგრები, ქვის საწაფები, ქვის ხელსაფქვავები და ხის წნული ნაგებობების შელესილობის (თიხის ბათქაშის) ფრაგმენტები.

მესამე ფენა თარიღდება ძვ.წ. VI-V საუკუნეებით და კოლხურ კერამიკასთან (ქვევრების, დერგების, ქოთნების, დოქებისა და კოჭბები) ერთად შეიცავდა იმპორტულ კერამიკას (ქიოსური და სამოსური ამფორების, იონიური წითელი ზოლებით მოხატული კერამიკისა და ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს.

ციხისძირის ნამოსახლარი ტიპოლოგიურად მსგავსია სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თანადროული კოლხური ნამოსახლარი ბორცვებისა, რომლებიც შესწავლილია ქობულეთ–ფიჭვნარი (ნამჭედური და ჩოლოქი) ბათუმის ციხე, მახვილაური და სხვ. ციხისძირის ნამოსახლარი ჩნდება ძვ.წ. IX საუკუნეში და არსებობას აგრძელებს ახ.წ. VI საუკუნის ჩათვლით, ვიდრე აქ დაარსდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრი ციხე-ქალაქ პეტრას სახით.

წლიურ ნაშრომში განხილულია აღნიშნული სამოსახლოს ანტიკური ხანის ფენის მასალები. იგი მომზადებულია გამოსაცემად საილუსტრაციო მასალით (ფოტო და გრაფიკული ჩანახატები).

10	III ქვეთემა: **ციხისძირის სასახლის შემადგენელი ეკლესია**	2020	მაია ჭიჭილეიშვილი (შემსრულებელი)

ანოტაცია

ციხისძირის სასახლის შემადგენელი ეკლესია გამოვლენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ნაშრომში განხილულია ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის მეთოდების საფუძველზე ეკლესიის გეგმის თავისებურებები, ადრეული შუა საუკუნეების მცირე სამლოცველოების ძირითადი ხუროთმოძღვრული პრინციპები, ნაგებობის სტრუქტურა, სივრცული გააზრების საერთო სურათი რექკონსტრუქციის თვალსაზრისით. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ციხისძირის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ერთიანობაში გააზრების თვალსაზრისით. ნაშრომი შესრულდა არქეოლოგიური მასალების, ნახაზებისა და სამეცნიერო ნაშრომების მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

11	IV ქვეთემა: **ბიზანტიური მონეტები ციხისძირიდან**	2020	ირინე ვარშალომიძე (შემსრულებელი)

ანოტაცია

განვსაზღვრე გამოუქვეყნებელი მონეტები, დავადგინე ემისიის წლები და ზარაფხანები, შევადგინე კატალოგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აღნიშნული საფასეები ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმს გადაეცა ქობულეთის გელაურის სკოლის დირექტორის მოადგილის ვასილ პროშენის მიერ 1993 წელს: 1. იმპერატორი არკადიუსი, 395-408 წწ(საინვენტარო ნომერი: აჭმ №23121/11);2. ბასილი I და კონსტანტინე VII, 867-879 წწ (საინვენტარო ნომერი: აჭმ №23121/12); 3. რომანოზ I ლეკაპენოსი, 919-921 წწ (საინვენტარო ნომერი: აჭმ№23121/13); 4. კონსტანტინე VII (?),945 წ (საინვენტარო ნომერი:აჭმ№23121/14); 5. კონსტანტინე VII (?),945 წ(საინვენტარო ნომერი: აჭმ№23121/16); 6. კონსტანტინე VII (?),945 წ (საინვენტარო ნომერი: აჭმ№23121/17); 7. კონსტანტინე VII (?),945 წ(საინვენტარო ნომერი: აჭმ№23121/18); 8. მიხეილ IV

პაფლაგონელი, 1034-1041 წწ (საინვენტარო ნომერი: აჭმ№23121/15); 9. სპილენძი, ისააკ I კომნენოსი, 1057-1059 წწ, ან კონსტანტინე X დუკა, 1059-1067 წწ (საინვენტარო ნომერი: აჭმ №23121/10).1 მონეტა - XI ს - აღმოჩნდა ციხისძირში, შეძენილია დავით კანდელაკისაგან, 1914 წ (საინვენტარო ნომერი: აჭმ №1271);1 - ბასილი II, კონსტანტინე VIII,976-1025 წწ. - გონჩაროვისაგან (ქობულეთი, ციხისძირი (?) 1941 წ)(საინვენტარო ნომერი: აჭმ №1847).ამრიგად, ციხისძირის ბიზანტიური ხანის მონეტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: სულ სახეზეა V საუკუნეში მოჭრილი 1, IX ს - 1, X ს - 5, X-XI სს მიჯნის - 1 და XI ს 3 ერთეული. მათგან ერთი, არკადიუსის მონეტა მოჭრილია ქიზიკში, ხოლო დანარჩენი მონეტების ზარაფხანა ვერ განისაზღვრა.ასევე შევისწავლე უკვე გაოქვეყნებუ

12	V ქვეთემა: პეტრა-ციხისძირში მდგარი გარნიზონების მომარაგების საკითხები გვიან რომაულ და ბიზანტიურ ხანაში	2020	სულხან მამულაძე (შემსრულებელი)

ანოტაცია

მიმდინარე სამუშაო წელს, საკვლევ თემაზე (პეტრა-ციხისძირში მდგარი გარნიზონების მომარაგების საკითხები გვიან რომაულ და ბიზანტიურ ხანაში) მუშაობისას მოხდა საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების მოძიება-დამუშავება. საშუალება მქონდა გავცნობოდი სხვადასხვა დროს პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს, რომელთა ანალიზმა და მათმა სხვა პარალელურ მასალებთან შედარებამ საშუალება მომცა განმესაზღვრა მათი წარმომავლობა და ქრონოლოგიური ჩარჩოები.

გარდა ამისა, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შესაძლებლობა მქონდა გარნიზონების მომარაგების პრობლემის კომპლექსური შესწავლისა, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლდათ მომარაგების ძირითადი ცენტრების იდენტიფიცირება, მომარაგების სპეციფიკის, ინტენსივობის და სხვ. საკითხთა განსაზღვრა. ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ ძირითადი მომარაგების ცენტრების განსაზღვრა, რომლებიც სხვადასხვა პროდუქციითა და საჭირო რესურსით ამარაგებდნენ პეტრას ციხე-სიმაგრეში მყოფ გარნიზონს.

მოხდა როგორც პეტრა-ციხისძირის მომარაგების საკითხის, ისე უშუალოდ მომარაგების სისტემატიურობის, მომარაგების მარშრუტებისა და უშუალოდ მომარაგების პროდუქციის განსაზღვრა, რომლითაც მარაგდებოდა პეტრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი თემის შედეგების საფუძველზე მოხდა მომარაგების სისტემის გრაფიკული რეკონსტრუქციაც, რაც, საკითხით დაინტერესებული სხვა მიმართულების წარმომადგენლებისთვისაც თემის უკეთ აღქმის ერთგვარი კარგი საშუალებაა.

2.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით; პროექტის № HE-18-448	2019-2021	1. დალი ნიკოლაიშვილი (პროექტის ხელმძ-ლი, გეოგრ. დოქტ., თსუ) 2. დავით სართანია (პროექტის კოორდინატორი, ისტ. დოქტ. თსუ) 3.დარეჯან კირთაძე (ძირითადი შემსრულებელი, ფილ. დოქტ., თსუ) 4. მანანა კვეტენაძე (კარტოგრაფი, გის სპეციალისტი) 5. უჩა ოქროპირიძე (დამხმარე პერსონალი, ისტ. დოქტ., ბსუ)
ანოტაცია 26.09.2020-დან 25.11.2020 ჩათვლით მონაწილეობა მიიღო საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებში, როგორც დამხმარე პერსონალმა (თურქოლოგი), ამასთან, 12.07.2020-დან 22.07.2020-მდე მონაწილეობდა აჭარის რეგიონში ამავე გრანტის პროექტით გათვალისწინებულ კომპლექსურ ექსპედიციაში, რომლის დროსაც ახდენდა თანამედროვე სოფლების სახელთა შედარებას ძველ ოსმალურ ტოპონიმიკურ მასალასთან			
2	ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, ჰუმანიტარული მეცნიერებები,ისტორია და არქეოლოგია,FR17-504	2017-2021	ირინე ვარშალომიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი ნინო ძნელაზე, კოორდინატორი
ანოტაცია 2020 წელს შესრულდა შემდეგი ამოცანები: 1. განისაზღვრა რუსული, ოსმალური და სპარსული მონეტები. 23 ოსმალური მონეტა: სულთან აბდულმეჯიდ I (1839-1861 წწ.) - 6 ცალი,სულთან აბდულჰამიდ II (1876-1909 წწ.) - 2, სულთან აბდულჰამიდ I (1774-1789 წწ.) - 4 , სულთან აჰმედ III (1703-1730 წწ.) - 2, სულთან მურად V (1876 წ.) - 1, სულთან მუსტაფა III (1757-1774 წწ.) - 1, სულთან მაჰმუდ I (1730-1754 წწ.) - 6; დადგინდა ნომინალები და ზარაფხანები. ოსმალური მონეტები მოჭრილია კონსტანტინეპოლში და ეგვიპტეში. განისაზღვრა 28 სპარსული მონეტა: მოჭრილია XVII, XVIII, XIX და XX საუკუნის დასაწყისში. მეტნაკლებად დადგინდა ზარაფხანები და ნომინალები.			

განისაზღვრა 49 რუსული მონეტა: ყირიმული მონეტები - 8, მიხეილ თეოდორეს ძე (1613-1645) – 6 (5 ვერცხლის კაპიკიანი, 1 ნახევარკაპიკიანი), ალექსი მიხეილის ძე (1645-76) – 1 (ვერცხლის კაპიკიანი), პეტრე დიდი (1682-1725) – 1 (ვერცხლის რუბლი), ანა იოანეს ასული (1730-1740) – 3 (სპილენძის დენგა), ელისაბედ I (1741-1762) – 6 (1 ვერცხლის რუბლი, 1 ვერცხლის გრივენნიკი, 4 სპილენძის 5 კაპიკიანი), ეკატერინე II (1762-1796) – 14 (1 ვერცხლის რუბლი, 1 სპილენძის 25კაპიკიანი, 10 სპილენძის 5კაპიკიანი), პავლე I (1798-1801) – 2 (1 ვერცხლის რუბლი, 1 სპილენძის 2კაპიკიანი), ალექსანდრე I (1801-1825) - 1 (სპილენძის 2კაპიკიანი), ნიკოლოზ I (1825-1855) – 1 (ვერცხლის 20კაპიკიანი), ალექსანდრე III (1881-1894) – 1, ნიკოლოზ II (1894-1917) – 4 (ვერცხლის რუბლი).

2. გაკეთდა გამოკვლევა ,,სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში", ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული მონეტების მეცნიერული მნიშვნელობა დიდია. შესწავლილმა მასალამ შეავსო და სრულყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის კვლევა. გამოქვეყნებულ მასალას თუ დავუმატებთ ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული მონეტების მონაცემებს, საინტერესო სურათს მივიღებთ. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი სამონეტო მიმოქცევის განვითარების პირველი კერაა საქართველოში, სადაც უკვე ძვ.წ. V საუკუნეში მიმოიქცეოდა კოლხური თეთრი და უცხოური მონეტები. ილირია, მაკედონიის მონეტების სიჭარბე, თებე, არგოლიდა, სირაკუზის, პტოლემეების, სელევკიდების, ფრიგიის, ბეოტიის, ბაქტრიის, თრაკიის ფულადი ნიშნები სიახლეა ჩვენი რეგიონისთვის, ზოგიერთ ზარაფხანაში მოჭრილი საფასე კი საქართველოში პირველად გამოვლინდა. სამონეტო ცენტრების სიჭრელე და მრავალფეროვნება უდაოდ დაკავშირებულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიზაციასთან, ელინიზმის ეპოქაში საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან, ასევე ტრანსკავკასიური სავაჭრო-სატრანზიტო გზების არსებობასთან. VI-XV საუკუნეებში სამონეტო მიმოქცევის შესწავლისათვის უდაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა ახალი მასალები. ქართული მონეტების ბრუნვა პირველად დაფიქსირდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გარდა ამისა მიმოიქცეოდა ქუფური, ბიზანტიური, სელჩუკური, მონღოლური, ტრაპიზონის ასპრები, დასავლურ ქართული ფული - კირმანეული, სასანური, ილდეგიზიდური საფასეები. XVI-XIX საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმოიქცეოდა ქართული, ოსმალური, სპარსული, რუსული, ევროპული მონეტები. აქედან რუსული, ქართული, სპარსული მონეტების ბრუნვა პირველად დაფიქსირდა ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული მასალის მიხედვით.

3. მომზადდა აბსტრაქტი საკონფერენციო თემისთვის „ამისოს საქალაქო მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან".

3	რა იგებს არჩევნებს საქართველოში	2019-2021	რუსლან ბარამიძე (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტი "რა იგებს არჩევნებს საქართველოში" ითვალისწინებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ყველა საპრეზიდენტო არჩევნებში შედეგებით პირველი ორი კანდიდატის ყველა წინასაარჩევნო მიმართვების (პოლიტიკური დისკურსი), სხვა თანამდევი მასალების, პოსტსაარჩევნო აქტივობებისა და დაინტერესებული ჯგუფებზე ზემოქმედების პრაქტიკების შესწავლას.

პროექტის ძირითადი ობიექტის - საარჩევნო ტექსტებისა და პრაქტიკების - კვლევა ძირითადად არსებული ტექსტების, პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტების ანალიზისა და ინტერვიურების მეშვეობით ხდება. თუმცა ყურადღება ასევე გამახვილდება სხვადასხვა კვლევებში ასახულ ცნობებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე. კერძოდ, პროექტის პერსონალის მიერ განხორციელდა საპრეზიდენტო გამოსვლებში ისტორიისა და რელიგიის თემების გამოყენების ანალიზი. შესაბამისი მოხსენება წაკითხული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე.

საგრანტო პროექტი საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის და პოლიტიკური პრაქტიკების კვლევას არა მარტო საქართველოს პრეზიდენტების არჩევნების საფუძველზე გეგმავს, არამედ ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში არსებულ პრაქტიკებთანაც შედარებას. ამ მიზნით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები პრეოქტის უცხოელ კონსულტანტებთან ბერლინში. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი მასალების დამუშავება და თარგმნა.

3.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)		

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	Mediation: training and society transformation/ MEDIATS, 599010-EPP-1-2018-1-NL-EPPKA2-CBHE-JPERASMUS	2019-2021	რუსლნ ბარამიძე / მკვლევარი
პროექტი ითვალისწინებს მედიაციის სასწავლო პროგრამისა და მედიაციის სტრუქტურის შექმნას საქართველოში, უკრაინაში და აზერბაიჯანში. პროექტის ფარგლებსი განხორციელდა სამუშაო შეხვედრები ბრედაში (ნიდერლანდები) და რიგაში (ლატვია).			

4.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ევროკომისია grant agreement no. 2018 2269\ 008 უკრაინა 02-19\78	2018- 2020	კოორდინატორი: იბრაიმ დიდმანიძე; მკვლევარები: მეგრელიშვილი მერაბ, მეგრელიშვილი ზურაბ, ახვლედიანი ნელი, დიდმანიძე დიდარი.

ანოტაცია

საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ძირითადად ინფორმაციულ, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. დაუფინანსებლობის გამო ვერ მოხერხდა თეორიული სკოლის გახსნა.

ჩატარებული მუშაობის განზოგადების საფუძველზე წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს:

1. ახალგაზრდა მწარმოებლების საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით საჭიროა ქვეყნის მასშტაბით მათი მიღწევების განზოგადება;
2. ახალგაზრდების თეორიული ცოდნის ამაღლების, პრაქტიკული საქმიანობის სტიმულირების მიზნით აუცილებელია მათი სტაჟირება წარმატებულ ახალგაზრდულ საწარმოებში;
3. ახალგაზრდა მწარმოებლების უნარ-ჩვევების გამოვლინების, აქტივობის ამაღლების მიზნით სასურველია მათი მასიური ჩაბმა ავტორიზებულ საწარმოებში;
4. სამომავლო საქმეს წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებლებთან ახალგაზრდა მწარმოებელთა თეორიული სკოლების გახსნა, უნივერსიტეტის მუდმივი კონტაქტი ახალგაზრდულ საწარმოებთან, გამორჩეული სტუდენტების მივლინება წარმატებულ საწარმოებში, საუნივერსიტეტო-სასწავლო პროგრამებში ასარჩევ საგანთა სიაში კურსის ,,ახალგაზრდა მწარმოებელი“ შეტანა.
5. ახალგაზრდა დამწყები მწარმოებლების საქმიანობის გააქტიურების მიზნით უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მათთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
6. ახალგაზრდა მეწარმეების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსპექტიული ბიზნეს-იდეების მხარდაჭერა, ბიზნეს-კონკურსების მოწყობა და ა.შ.
7. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეწარმეებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება. ახალგაზრდული საწარმოების სამართლებრივი სტატუსის ამაღლება, მათზე კრედიტების, გარანტიების, გადასახადებზე შეღავათების დაწესება;
8. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ცალკეული მხარის, დაბის, სოფლის დამწყებ ახალგაზრდა მეწარმეების საქმიანობას;
9. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წარმატებული ახალგაზრდა მეწარმეების საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით სატელევიზიო გადაცემების მოწყობა. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და ა.შ.

10. ახალგაზრდა მეწარმეების წახალისების მიზნით სახელმწიფომ უნდა დააწესოს ჯილდო, სიგელი, წოდება და ა.შ.

5. პატენტები:

5.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
1	გიორგი თავამაიშვილი	თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები; ISBN კოდი მიენიჭება	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	295 გვერდი

ანოტაცია

მონოგრაფია „თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები“ ეძღვნება ფრიად ორიგინალურ ნაკეთობებს - თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი გვიანი შუასაუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით კი სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების ციხე-სიმაგრეების გათხრების დროს.

ქართულენოვან სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში დღემდე ნაკლებად მოგვეპოვება შრომები თამბაქოს ისტორიის შესახებ, ამიტომ ავტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა ჩიბუხებთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენასთან ერთად ვრცლად ესაუბრა თამბაქოს კულტურის ისტორიის, კერძოდ, მისი აღმოჩენის, გავრცელების, გამოყენების და ამ პროცესის თანმხლები საინტერესო ისტორიული მოვლენების შესახებ, ნაშრომში ცალკეა მიმოხილული თამბაქოს ტრადიციული მოსაწევი საშუალებები, უფრო

<table>
<tr><td colspan="5">დეტალურად კი - თიხის ჩიბუხები, მათი ევროპული და აღმოსავლური ვარიანტები, ამ უკანასკნელთა ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხები. ფოტო-ილუსტრაციებისა და კატალოგის ფორმით მკითხველს მიეწოდება მასალა გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლური ტიპის ჩიბუხების ზოგიერთი სპეციფიკური ჯგუფის შესახებ, სადაც აქცენტირებულია მათ ფორმებთან, ორნამენტაციასა და დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომს თანდართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია, რაც მომავალშიც მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ თემებით დაინტერესებულ მკვლევრებს.</td></tr>
<tr><td>2</td><td>ნ. ს. დერჟავინი (თარგმანი მერაბ მეგრელიშვილისა)</td><td>ბათუმის მხარის მოკლე ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1902 (თარგმანი რუსულიდან)</td><td>წიგნი მზად არის გამოსაცემად</td><td>152 კომპიუტერული ნაბეჭდი გერდი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია

ბულგარეთის, ბელორუსიის და სსრკ სამეცნიერო აკადემიის წევრმა, 1922-1925 წწ პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა ნიკოლოზ დერჟავინმა თავისი შრომები მიუძღვნა ქართველი ხალხის ისტორიას. მეცნიერმა თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი ბათუმში გაატარა, იგი ცხოვრობდა ბათუმში სვიატოპოლსკი მირსკის (დღევანდელი ახმედ მელაშვილის) ქუჩაზე მითილ-ოღლის სახლში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში (დღევანდელი უნივერსიტეტის შენობა). 1903 წელს „კილაძე და კომპანიის“ სტამბაში დაიბეჭდა მისი ნაშრომი ,, ბათუმის მხარის მოკლე ისტორიული ნარკვევი“, რომელსაც ერთვის ქალაქ ბათუმის საცნობო წელიდწლეული. აკადემიკოსი ნიკოლოზ დერჟავინი ბრონევსკის და ისარლოვის მონაცემების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1770 წელს რუსმა გენერალმა ტოტლებენმა ფოთზე შეტევის შემდეგ ბათუმზეც გამოილაშქრა. მკვლევარი ნაშრომში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის დროს ძირითადად ქართველ მეცნიერებს, ვახუშტი ბატონიშვილს, დ. ბაქრაძეს და სხვებს იმოწმებს, მაგრამ ასევე გამოყენებული აქვს ნ.ა.ხუდადოვის,ა. ფრენკელის, ე.ერიქსონის და სხვათა გამოკვლევები. განსაკუთრებით ყურადსაღებია მის მიერ აღწერილი ბათუმის კულტურულ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატური პირობები და სამკურნალო დაწესებულებანი, ნიადაგის შედგენილობა, ზღვის სანაპირო ზოლი, ჭაობის ამოსაშრობი არხები და ა.შ.</td></tr>
<tr><td>3</td><td>შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, კახაბერ ქამადაძე, სულხან მამულაძე</td><td>ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

ISBN 978-9941-8-1990-2</td><td>გამომცემლობა, ჯეო–პრინტ. თბილისი</td><td>230 გვერდი</td></tr>
</table>

ანოტაცია
ნაშრომში ტრაპიზონსა და გუმუშხანეში 2017-2019 წწ საველე მივლინებების დროს შეკრებილ მასალებზე, წერილობით და სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ისტორიული ჭანეთის ცენტრალური ნაწილის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები, არქეოლოგიისა და ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხი, ძველი გზები. გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, მდიდარი საილუსტრაციო და გრაფიკული მასალა. ვფიქრობთ, წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს და ისტორიული ჭანეთით დაინტერესებულ მკითხველს.

4	ნ.კახიძე	„მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკა“	ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	იბეჭდება
ნაშრომში შესწავლილია როგორც ქვედა მაჭახლის, ისე ისტორიული ბედუკუღმართობის გამო 1921 წელს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ზედა მაჭახლის ტოპონიმები. ნაშრომს ერთვის სამეცნიერო ხასიათის შენიშვნები, რომლებშიც გარკვეულია ტოპონიმთა წარმომავლობისა და ლოკალიზაციის საკითხები. ტოპონიმების შესწავლით წარმოჩენილია ხეობის ყოფისა და კულტურის ნიშანდობლივი თავისებურებანი, ხეობის როლი და მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კოლექტივი	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV, ISSN1512-4991	ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
2	ნოდარ კახიძე როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე, რუსლან ბარამიძე თამილა ლომთათიძე ჯემალ მიქელაძე	მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის, ტ. I, მემინდვრეობა	ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	იბეჭდება
ტომში წარმოდგენილია ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მიერ 1958-1990-იან წლებში აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონები) შეკრებილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, რომლებიც ინსტიტუტის ფონდებში დაცულია საექსპედიციო დღიურების სახით. I ტომში შესულია მხოლოდ მემინდვრეობასთან დაკავშირებული მონაცემები (აჭარის ტრადიციული მეურნეობის სხვა დარგების შესახებ მონაცემები მომდევნო ტომებში აისახება). მასალები შეიცავს ცნობებს სავარგული მიწების ათვისების, მიწის დამუშავების, ტერასული სისტემის, მოსავლის აღება-დაბინავების, სამიწათმოქმედო იარაღების, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. ტომს ერთვის საძიებლები და საილუსტრაციო მასალები.				
3	ნანული ნოღაიდელი	„აჭარული საუნჯე“, ტ.V, ISBN978-9941-434-82-2	ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	605გვ. იბეჭდება
ანოტაცია „აჭარული საუნჯე“ ტ.V შედგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი ფოლკლორული მასალების საფუძველზე. ძირითად ნაწილს შეადგენს ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში 1960 წლიდან დაუნჯებული ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრის მასალები. ასევე, აქვეა შეტანილი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშებიც. კრებულს ერთვის შესავალი წერილი, საძიებლებისა და სიტყვების ახსნა.				

6.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელზა ფუტკარაძე	სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში	ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXIV.	ქუთაისი, გამომცემლობა-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.	იბეჭდება

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია სიტყვაწარმოების თავისებურებათა შესახებ სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში. საკითხის ანალიზისას ვეყრდნობით 2013-2019 წლებში, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიციის დროს, ჩვენ მიერ ტაო-კლარჯეთში ჩაწერილ დიალექტოლოგიურ ტექსტებს.

როგორც ცნობილია, ქართული ენა და მისი დიალექტები მდიდარია სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით. ამ მხრივ, სამხრულ-დასავლური მეტყველება ძირითადად იმეორებს ქართული ენის სიტყვაწარმოებით თავისებურებებს, მაგრამ მაინც გვხვდება ზოგიერთი სპეციფიკური წარმოება. შესაბამისად, მოხსენებაში სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურებაა განხილული. ძირითადად, ქონების, წარმომავლობის, აბსტრაქტულ და კნინობით ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებულ თავისებურებებზეა საუბარი.ს აკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რამდენად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენენ სამხრულ-დასავლური დიალექტები სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით. ბუნებრივია, ისინი იმეორებენ ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს, მაგრამ გამოიკვეთა გარკვეული სპეციფიკურობა. ზოგ შემთხვევაში, მაწარმოებელ აფიქსს ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფუნქცია ჯერ კიდევ აქვს შემონახული. ხშირ შემთხვევაში კი, აფიქსები, სალიტერატურო ენაში მათთვის ჩვეული ფუნქციისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსის გამომხატველად გვევლინებიან.

2	ელზა ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, ISSN1512-4991	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV,	ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების შესახებ. კვლევის პრობლემებიდან გამომდინარე, ნაშრომში დეტალურად და სიღრმისეულადაა გაანალიზებული მუჰაჯირთა მეტყველებაში თავჩენილი ენობრივი თავისებურებანი. მსჯელობა ძირითადად ფონეტიკურ ნიუანსებსა და მეტყველების ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებულ თავისებურებებზეა. ნაშრომში წარმოდგენილია წლების განმავლობაში მოძიებული მასალა მაჭახელსა და მუჰაჯირად გადასახლებულ მაჭახლელთა მეტყველების უიშვიათესი ფორმებით. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, მიჩნეულია, რომ მაჭახლური ქართული არის დამოუკიდებელი კილო. ის შედის კლარჯულ კილოთა ჯგუფში, ენობრივი ნიშნებით განსხვავდება მოსაზღვრე დიალექტებისაგან-იმერხეულისა და ნიგალურისაგან. სწორედ აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ნაშრომი.

3	ნარგიზ ახვლედიანი	ეთნოგრაფიული მასალა-დიალექტური ლექსიკონის წყარო (აჭარული კილოს მიხედვით). ISSN: 1987-7633	ტერმინოლოგიის საკითხები, IV.	თბილისი, გამომცემლობა-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გვ. 49-53

ანოტაცია

ენა დროსა და სივრცეში განფენილობის (გავრცელების) მიხედვით იცვლება. სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში ენის ცვალებადობა კი იმდენად საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მასში თავს იყრის ადრე უცნობი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ყოველდღიურ მეტყველებაში არ ვიყენებთ, არადა, ამ თვალსაზრისით ქართული ენა ნამდვილად უნიკალური, გამძლე და მტკიცეა. თემის კვლევა-ძიებისას მნიშვნელოვანია ის, რომ არაერთი დამპყრობლური ასიმილაციის მიუხედავად, შესაძლებელია ენაში არსებული ე.წ. „მიძინებული“ ლექსიკური ერთეულების გამოცოცხლება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს ისტორიაში არ მოიძებნება გულდამშვიდებისა და უმოქმედობის შუალედები, მშვიდობიანი ცხოვრების გრძელი ეპიზოდები. საკვლევაძიებო მასალაში ვხვდებით სხვადასხვა დარგთან დაკავშირებულ ტერმინებს. საილუსტრაციოდ რად ღირს სალიტერატურო ქართულში ოდენ „საშუქი“- ს დამკვიდრება ფანჯრის მნიშვნელობით. ერთმანეთის გვერდით ვპოულობთ „ცეცხლაპირ“-სა თუ „კერა“-ს, „ჭერ“-სა თუ „თავან“-ს, „ფინ“-ს, „დოშამა“-სა და „პოლ“-ს, ან კიდევ, სოფელ ღურტაში ვაშლის ჯიშად დაფიქსირებული „ყარაფილა“ საინტერესო საკვლევია გორის მუნიციპალიტეტში დადასტურებული ამავე სახელწოდების

ტოპონიმის სახელდების მოტივაციის დასადგენად, ან როგორ ჩაენაცვლა ერთმანეთს „ქორი“ და „ჩარხილი“, „საბძელი“ და „ბეღელი“ (ნალია), ან კიდევ როგორი საძიებელია: „მეხონი“, „ზღვე“, „წურუქი“, და სხვა რამდენიმე ათეული ლექსიკური ერთეული.

4	ნარგიზ ახვლედიანი	„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასალების მიხედვით.	„ქართველური ონომასტიკა“ XI	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	იბეჭდება

ანოტაცია

სტატიაში მოთხრობილია 2019 წლის ზაფხულში ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მუშაობის შედეგად, ჩვენ მიერ მოპოვებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალები. სისტემურად გაანალიზებულია ზოგიერთი ტოპონიმის სტრუქტურა ეტიმოლოგიური ძიებით.

5	ნარგიზ ახვლედიანი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია, ISSN 1512-4991	ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტომიXV	ქ.ბათუმი, გამომცემლობა- „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება

ანოტაცია

გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებს ქმნის ხალხი და მათ საკუთარი მოთხოვნილებისამებრ მოიხმარს კიდეც, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობა შეიძლება ძველ ადგილ-საცხოვრისს იცვლიდეს, ან სხვა ენობრივ კოლექტივში გაითქვიფოს. სწორედ ისტორიული ქარტეხილებისა თუ ხალხთა დიდი და მცირე მიგრაციების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ „სუფთა“ენას, რომლის ტოპონიმიაც სხვადასხვა დროინდელ და სხვადასხვა ენობრივპლასტებს, დანაშრევებს არ შეიცავდეს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში მარტივი სახელები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც, რაც წარმოდგენილია გამოხატავს ადგილ-მდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას(მაგ.: ცარა, ჭონჭყო...),შედარებით მეტადაა წარმოდგენილი დანიშნულების ო -პრეფიქსი (ასე, მაგ.: ოროკი,ოჭიკარტი, ოჯინჯი, ოხტომი და სხვ.). სუფიქსური წარმოებიდან ჭარბობს -„ეთ'' სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები (სინდიეთი, ჩხუტუნეტი, გოშპარეთი, ქოქოლეთი, გვიანეთი,ხინკილეთი...). გვხვდება -„ურ“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც (ასე მაგ.: მახინჯაური, მახვილაური, ხელვაჩაური, კვადაური...), „თი“, „იშ//ში“ - სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმებია (მაგ.: ჭურიათი, კვარიათი, ქვაბიში, ტიბაში, კერკეტაში), პრეფიქს-სუფიქსური წარმოებიდან (მაგ.: ოჭვაბურა, ოხვამე, ოწვეთია,ონტოფო, ნაუჩვარი, ნაჯარგვალევი...). ასეთია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური სურათი.

6	ციალა ნარაკიძე	საქორწილო ლექს-სიმღერები ლაზურში	ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXIV	ქუთაისი, გამომცემლობა- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.	იბეჭდება

ანოტაცია

წარმოდგენილი კვლევის მიზანია ლაზური საქორწილო ლექს-სიმღერების შესწავლა-ანალიზი. საკითხის განხილვისას ვეყრდნობით ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული ფონდებისა და წლების განმავლობაში ჩვენ მიერ საექსპედიციო საქმიანობისას მოძიებულ მასალას. ასევე, სტატიაში წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ლაზებისგან ჩაწერილი რამდენიმე საქორწილო ლექს-სიმღერაც. მასალათა შედარებისას გამოვლინდა ბევრი ისეთი ნიმუში, რომელიც უცნობია სამეცნიერო ლიტერატურისთვის, ანდა ცნობილია სხვა ვარიანტებით. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა აქტუალურია, თეორიულ-პრაქტიკული ღირებულების მატარებელია. ხალხის მეხსიერებით შემონახული, მაგრამ მეტნაკლებად დავიწყებული პოეტური შემოქმედების ნიმუშები ისევ ხალხს დაუბრუნდება, გაცოცხლდება და ლაზურის ეთნომუსიკალურ არეალსაც გაამდიდრებს.

როგორც ცნობილია, ტრადიციულმა საქორწილო ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა, გათანამედროვდა, შესაბამისად კი, თანდათან დავიწყებას ეძლევა ტრადიციული ლაზური ქორწილისთვის დამახასიათებელი

<table>
<tr><td colspan="6">ლექს-სიმღერები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კვლევით, ნაშრომში საილუსტრაციოდ წარმოდგენილი რიტუალური ლექს-სიმღერები შემოგვენახება.</td></tr>
<tr><td>7</td><td>ციალა ნარაკიძე</td><td>ლაზური ფოლკლორი, ISSN1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV.</td><td>ბათუმი, გამომცემლობა-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
ლაზური ზეპირსიტყვიერი შემოქმედება ქართველ ტომთა ფოლკლორული საუნჯის ორგანული ნაწილია. ლაზური ენა უმწერლობოა, და, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ამ ენობრივ მასალაზე შეთხზული ყოველი ზეპირი თხზულება ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილებად რჩება.
დღემდე შეკრებილი და გამოქვეყნებულია ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა მოპოვების ადგილი , ძირითადად, სოფელი სარფია(ე.წ. „მოლენი სარფი“-გამოღმა სარფი).
ლაზური ფოლკლორი ტრადიციულად წარმოდგენილია მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედების თემატიკით: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო ლექსები და შაირები, ზღაპრები, ასევე, მცირე ზომის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: ანდაზები და გამოცანები.</td></tr>
<tr><td>8</td><td>ნანული ნოღაიდელი</td><td>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ლექსიკა, ISSN1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV</td><td>ბათუმი, გამომცემლობა- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
ნაშრომი დაწერილია დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში მოპოვებული ლექსიკური მასალების თუ პირადი ჩანაწერების საფუძველზე და მოიცავს სამეურნეო დარგების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მებოსტნეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, ხალხური სამზარეულო, რთვა-ქსოვა და სხვ.) თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ლექსიკას.
განხილულია ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი საერთოქართველური, ზანური, ძველქართული თუ მხოლოდ კუთხისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ტერმინები, არქაული თუ ნასესხები ლექსიკური ერთეულები, ხატოვანი სიტყვა-თქმები.
ნაშრომში განხილული ლექსიკური მასალა მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რაც ამ რეგიონში ფიქსირდება.</td></tr>
<tr><td>9.</td><td>ნაილე მიქელაძე</td><td>უძველესი რწმენა-წარმოდგენები ვაზის კულტთან დაკავშირებით(საარქივო და საველე ექსპედიციების დროს მოძიებული მასალების მიხედვით)</td><td>ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXIV</td><td>ქუთაისი, გამომცემლობა-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია
წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარია აჭარაში შემონახულ წეს-ჩვეულებებზე, რომელთა გადმოცემებში ფიგურირებს ვაზი.
ისტორიულად, ზოგადქართულ ფოლკლორში ვაზის კულტთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები მრავლად გვხდება. მისი მნიშვნელობა და დანიშნულება დღემდე განსხვავებულ სახე-სიმბოლოებთნ ასოცირდება.
აღსანიშნავია, რომ მცენარეებისა და ცალკეული საგნების გამოყენებას, როგორც მცენარეთა კულტს საქართველოში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და ჩვენი თემის კვლევის მიზანიც სწორედ ესაა.</td></tr>
<tr><td>10</td><td>ნოდარ კახიძე</td><td>მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფის საკითხები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV</td><td>ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td><td>იბეჭდება</td></tr>
</table>

		ISSN1512-4991			
ნაშრომში, ეთნოგრაფიული საექსპედიციო მასალებისა და შესადარებელი ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე, შესწავლილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული მარცვლეული კულტურები (ფეტვი, ასლი, ღომი, ჭვავი, ქერი, პური), რომლებიც მოჰყავდათ სიმინდის კულტურის გაბატონებამდე (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) და სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ცოდნა-გამოცდილებანი. მაჭახლის ხეობაში ენდემური პურეულის - მახას გავრცელების მაგალითზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხეობა უნდა ჩაითვალოს ამ ენდემური პურეულის ლოკალურ კერად, რაც დღემდე ცნობილი არ იყო. ნაშრომში დახასიათებულია მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები, ვაზისა და ხეხილის ჯიშები, ყურძნისა და მეხილეობის პროდუქტების დამზადებისა და მოხმარების ტრადიციები, აგრეთვე, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. მეურნეობის ამ დარგებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, შრომის იარაღები, წეს-ჩვეულებები, ტოპონიმიკური მონაცემები.				
11	ჯემალ ვარშალომიძე	ტრადიციული საცხოვ-რებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ISSN1512-4991	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV	ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	იბეჭდება
ნაშრომში შესწავლილია ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტრადიციული სამშენებლო ხელოვნების ნიმუშები, საერო და საკულტო ნაგებობები. აქ გამოვლენილი საცხოვრებელი ნაგებობები ხასიათდება დასავლურ-ქართული სახლის ტიპით, რომელსაც გააჩნია ნიუანსური ვარიაციები და სრულად ამჟღავნებს სამეურნეო ყოფის თავისებურებებთან შესატყვისობას, პასუხობს საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. დეკორის ტრადიციები ხასიათდება მკაფიო შემოქმედებითი აზროვნების ტენდენციებით. ჩანს სწრაფვა ქართული ხალხური ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ. მუსლიმანური საკულტო ნაგებობების - ჯამეების სამშენებლო ხელოვნების თავისებურებები ადასტურებს საცხოვრებელ სახლებთან ტექნიკურ მსგავსება-სიახლოვეს, ხოლო ორნამენტაციის ფორმითა და შინაარსით ცხადყოფს ქართული სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი ტრადიციების გამძლეობას უცხოური ექსპანსიის პირობებში.				
12	თამილა ლომთათიძე	ხელვაჩაურის მუნიციპა-ლიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურა ISSN1512-4991	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV	ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	იბეჭდება
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ერთ–ერთი გამორჩეული რეგიონია თავისი კულტურითა და ტრადიციებით. ნაშრომში შესწავლილია აქ დღემდე მოღწეული უძველესი ხალხური სამიწათმოქმედო კალენდარი, სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის აგრარულ ყოფასთან. ხელვაჩაური საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს. აქაურთა ყოფაში შემონახულია სამი რელიგიის: ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მუსლიმანური დანაშრევები. ამას დაერთო ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ეთნიკური სიჭრელითაც ხასიათდება. აქ სახლობენ ლაზები (სარფი), მუჰაჯირი აფხაზები და მათი შთამომავლები და თურქთაგან დევნილი ბერძნები. რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელემ და სინთეზმა განაპირობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურის ისტორიული, რელიგიური და სხვა ლოკალური თავისებურებები. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ამ თავისებურებების შესწავლის ცდა.				
13	ნაილა ჩელებაძე	განათლება და კულტურა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ISSN1512-4991	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV	ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	იბეჭდება

ნაშრომში დახასიათებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი როლი ქართული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების საქმეში. რეგიონის კულტურული განვითარებაში ქართველ მოღვაწეთა დიდი ძალისხმევა, პირველი სკოლების გახსნაში შეტანილი მათი უდიდესი წვლილი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების როლი ამ საქმეში. რის შედეგადაც რეგიონში დაიწყო წერაკითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, სამკითხველო ქსელის გაფართოება, კულტურული ქსელების ჩამოყალიბება და ა.შ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განათლებისა და კულტურის განვითარების მაჩვენებელია მრავალი სკოლა, სკოლამდელი დაწესებულებები, მუსიკალური სკოლა, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ნაშრომს ერთვის განათლებისა და კულტურის მდგომარეობის ამსახველი შესაბამისი ფოტომასალებიც

14	რუსლან ბარამიძე	განათლების ხელმისაწვდომობა და სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა მაღალმთიან აჭარაში	რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)	https://emc.org.ge/ uploads/ products/pdf	გვ. 212-261

წინამდებარე კვლევის მიზანია მაღალმთიან აჭარაში განათლების ხელმისაწვდომობისა და მისი სოციალური და კულტურული განზომილებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში, 2019 წლის მაისში, სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოვითხოვეთ შესაბამისი ინფორმაცია. ასევე ჩავატარეთ შეხვედრები და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები განათლების საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პირებთან. ოფიციალური დოკუმენტები გამოვითხოვეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან. ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან ბათუმში და ხულოს მუნიციპალიტეტში სკოლის მოსწავლეებთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კურსდამთვრებულებთან, მასწავლებლებთან, რელიგიური სამმართველოს და სასწავლებლების წარმომადგენლებთან. მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადდა სიტუაციის ამსახველი კვლევა და რეკომენდაციები.

15	თამილა ლომთათიძე (თანაავტ. მანუჩარ ლორია	შიდამიგრაციები და მენტალური ადაპტაციის პრობლემები პოსტსაბჭოთა აჭარაში ISSN: 2449-285X;	ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, NO IV (2020-12-22),	http://sciencejournals.ge/ index.php/HAE/ issue/view/6	გვ.112-121

სტატიაში ყურადღება შევაჩერეთ მოსახლეობის შიგარეგიონალური მიგრაციებით (სოფელი-ქალაქი) გამოწვეულ საზოგადოების მენტალურ ცვლილებებზე აჭარაში, რადგან, ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე, აჭარის მთის სოფელი ეთნოცენტრულ და ერთგვაროვან კონფესიურ სივრცეს წარმოადგენს და პოსტტოტალიტარულ პერიოდში სოფლებიდან ქალაქში გადაადგილებულ მოსახლეობას პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ გარემოში უწევს ადაპტირება, რაც, ბუნებრივია, იწვევს მენტალურ ცვლილებებსაც. სტატიაში სწორედ ეს ცვლილებები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, მიგრირებული მოსახლეობის ახალ სოციო-კულტურულ გარემოში ადაპტაციის სტრატეგიებია შესწავლილი.

სოფლისა და ქალაქის მენტალობა სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული. აჭარის მთის სოფელი საკმაოდ ჩაკეტილ, ნაკლებად ცვლად, ერთგვაროვნებაზე (ეთნიკურად და კონფესიურად) ორიენტირებულ სივრცეს წარმოადგენდა. სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა ვერც პოსტსაბჭოთა პერიოდში დააკნინა სოფლად ტრადიციული ინსტიტუციების როლი. ასეთი გარემოდან მიგრირებულები ხვდებიან ქალაქის პოლიკონფესიურ და პოლიეთნიკურ გარემოში, სადაც განსხვავებული მენტალობის ადამიანები ცხოვრობენ და მათ რამდენიმე მიმართულებით უხდებთ ადაპტირება.

დროთა განმავლობაში სოფლიდან ქალაქად მიგრირებული მოსახლეობა თანდათანობით იმუშავებს

არაერთგვაროვან სოციუმში ადაპტაციისათვის აუცილებელ სოციალურ სტრატეგიებს, რაც ბათუმში მულტიკულტურალური საზოგადოების შექმნის და განვითარების ერთ-ერთი პირობაა.					
16	თამილა ლომთათიძე (თანაავტ. მანუჩარ ლორია	ტრადიციულ ღირებულებათა ახალ რეალობასთან ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი პოსტტოტალიტარულ ბათუმში, ISSN 2587-490X ISBN 978-9941-9662-6-2	აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, III	გამომცემლობა „დანი“	გვ. 117-127
გლობალიზაციამ, ურბანიზაციის ტენდენციების ზრდამ, ყოფის სტანდარტიზაციამ, ტრადიციების რღვევამ გამოიწვია ეთნოკულტურული ელემენტების შეუქცევადი ცვლილებები. ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აჭარის მთის სოფელი საკმაოდ ჩაკეტილ, ნაკლებად ცვლად, ერთგვაროვნებაზე ორიენტირებულ სივრცეს წარმოადგენდა. პოსტტოტალიტარულ პერიოდში ეს დაბრკოლებები მოიხსნა. სოფლად შექმნილმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, ცხოვრების დონის დაცემამ გამოიწვია მიგრაციული პროცესების გააქტიურება. თანამედროვე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულ-რელიგიურმა პროცესებმა ცვლილებათა ეპიცენტრში მოაქცია ბათუმი, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს და ხასიათდება რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით. ბათუმის ეთნოკონფესიური სურათი კიდევ უფრო შეიცვალა პოსტსაბჭოთა პერიოდში, რაშიც, სხვა მოვლენებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აჭარაში გააქტიურებულმა შიგამიგრაციულმა პროცესებმა. სტატიაში გაანალიზებულია მიგრირებული მოსახლეობის ახალ სოციო-კულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემები და ადაპტაციის სტრატეგიები.					
17	ოლეგ ჯიბაშვილი, როინ მალაყმაძე	ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ადამიანური რესურსები XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის; ISSN კოდი მიენიჭება	ერეკლე მეორისა და ანტონ კათოლიკოსის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გადაცემულია დასაბეჭდად 10 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდი)
ანოტაცია XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ქართლ-კახეთის სამეფო ამიერკავკასიაში აშკარა ჰეგემონობას ფლობდა. ამ დროისათვის სამეფოს ერთპიროვნული მმართველობის სადავეები ერეკლე მეფის ხელში იყო მოქცეული. ქართლ-კახეთის დაწინაურება განაპირობა 1750-60-იან წლებში გატარებულმა სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ღონისძიებებმა. მართალია, აღნიშნულ ღონისძიებათა წარმატება, მნიშვნელოვანწილად, აღმოსავლეთ საქართველოს ირგვლივ შექმნილმა					

საერთაშორისო ვითარებამაც განსაზღვრა, მაგრამ გადამწყვეტი როლი ქვეყნის მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი მისმა დომინირებულმა ნაწილმა – ქართველობამ ითამაშა. ქართლ-კახეთის მეფეები სწორედ მათ პოტენციალს ეყრდნობოდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ნაშრომში, დოკუმენტური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გაანალიზებულია ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული მდგომარეობა XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის. მონაცემები გაშუქებულია რეგიონში არსებული საერთო-დემოგრაფიული ვითარების ფონზე.					
18	ოლეგ ჯიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე	ერეკლე მეფის მზადება აღა-მაჰმად ხანის დასახვედრად; ISSN კოდი მიენიჭება	ერეკლე მეორისა და ანტონ კათოლიკოსის დაბადე-ბიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გადაცემულია დასაბეჭდად (9 კომპიუტე-რული ნაბეჭდი გვერდი)
ანოტაცია ნაშრომში ერეკლეს შვილიშვილის - ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილებზე დაყრდნობით გაშუქებულია XVIII ს-ის 90-იან წლებში ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის სტრატეგიული ჩანაფიქრი. დასაბუთებულია წყაროთა ავტორის - ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის სანდოობა და ობიექტურობა. ქართლ-კახეთის სამეფოსა და მისი პოტენციური მოკავშირეების სამხედრო პოტენციალი საკმარისი იყო ირანელთა ლაშქრის მოსაგერიებლად, მაგრამ სამეფოში მოქმედმა დესტრუქციულმა ძალებმა ერეკლე მეფის გეგმები ჩაშალეს. აღნიშნულ ძალებს ე.წ. „სომხური დასი“ ედგა სათავეში, რომელიც რუსეთის იმპერიიდან იმართებოდა. ნაჩვენებია, რომ ქართველების ტრაგიკული დამარცხება კრწანისთან გამოწვეული იყო არა მაშინდელი ირანის სამხედრო უპირატესობით ქართლ-კახეთის სამეფოსთან შედარებით, არამედ შიდა მოღალატეების მავნებლური ქმედებებით.					
19	ოთარ თურმანიძე	კაპიტალისტური საწარმოები აჭარის სოფლის მეურნეობაში (1878-1920) ISSN 2449-2507	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის არ რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის შრომები, ტ. V	ბათუმი	გვ. 92-105
ანოტაცია ნაშრომში გაშუქებულია კაპიტალისტური საწარმოების დაარსების პირობები. დახასიათებულია ჩაქვის საუფლისწულო მამული, პოპოვის სოლოვცოვის, სინიცინის, პანცერის, სტოიანოვის და სხვათა მეურნეობები. კაპიტალისტურმა მეურნეობებმა, რომლებიც აჭარაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მხარის ეკონომიკურ განვითარებაში. მოახალშენეების კაპიტალური დაბანდების შედეგად აჭარაში შეიქმნა ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების მეურნეობები. ამასთან შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები რის შედეგად მოსახლეობის ნაწილი დასაქმდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს განხორციელდა კაპიტალისტური მეურნეობების ნაციონალიზაცია, რის შედეგად ჩამოყალიბდა სახელმწიფო მეურნეობები.					

20	ოთარ თურმანიძე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ს ეკონომიკის ისტორია; ISSN 1512-4991	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტი-ტუტის შრომები, ტ. XVI	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	გადაცემულია დასაბეჭდად

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ისტორია. დახასიათებულია მუნიციპალიტეტის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები: კლიმატი, რელიეფი, ნიადაგები, ტყისა და ჰიდრო რესურსები. განხილულია მრეწველობა, კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ნაჩვენებია ამ დარგების ხვედრითი წილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში. ხაზგასმულია ჩაისა და ხილის გადამამუშავებელი მრეწველობის შესახებ, რომელსაც წამყვანი როლი ეკავა მუნიციპალიტეტის სამრეწველო-ეკონომიკურ განვითარებაში.

გამოკვლევაში გაანალიზებულია სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობა. ნაჩვენებია მათი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. ნაშრომში განხილულია აგრეთვე სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები როგორიცაა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა მეცხოველეობა.

21	მაია ჭიჭილეიშვილი	სხალთის ეკლესიის რესტავრაციის ისტორიიდან; ISSN 1987-5851	ხელოვნებათმცოდნეობით ი ეტიუდები; ტ. VIII	მომზადა: ბათუ-მის ხელოვნების სასწავლო უნი-ვერსიტეტის გამომცემლობამ. დაიბეჭდა: თბი-ლისში, გამომც „უნივერსალი“	გვ.3-21

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სხალთის მთავარი ტაძრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის ისტორია. ხუროთმოძღვრების კონსერვაციის შესრულებისა და მეთოდოლოგიის საკითები. სხალთის ფრესკების სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების ისტორია და მეთოდები, დაცვისა და კვლევის სირთულეები, ავთენტურობის შენარჩუნების საკითხები, წარმოჩენილია ამ პროცესის მნიშვნელობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნებისა და კვლევის თვალსაზრისით.

22	მერაბ მეგრელიშვილი	ქართული ლეგიონი თურქეთში; ISSN 1512-0333	საქართველოს მეცნიერე-ბისა და საზოგადოების განვითარების ფონდ „ინტელექტის“ საერთა-შორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნ. „ინტელექტი“, № 2(67)	თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად (20 კომპიუტე-რული ნაბეჭ-დი გვერდი)

ანოტაცია

სტატიაში საარქივო მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია XX საუკუნის პირველ ოცწლეულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში როგორც რუსეთის ისე თურქეთის ხელისუფლების

მიერ წარმოებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურულ-ინფორმაციული ექსპანსიის არსი, რომელსაც ვერ ეგუებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და აწარმოებდა დამპყრობთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს. თურქეთში მოქმედი ქართული ლეგიონი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისთვის.					
23	მერაბ მეგრელიშვილი	ეროვნულ განმა-თავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი ბათუმის ოლქში 1900- 1906 წწ. ISSN 2233-3541	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებუ-ლების - საარქივო სამმართველოს ჟურ. „არხეიონი“, №21	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	გადაცემულია დასაბეჭდად (20 კომპიუტე-რული ნაბეჭ-დი გვერდი)
ანოტაცია 1900-1906 წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ ბათუმის ოლქში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება. სტატიაში გაანალიზირებულია XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბათუმის ოლქში წარმოებული განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული ფაქტები და მოვლენები					
24	შოთა მამულაძე, სულხან მამულაძე	2017–2018 წლებში ციხის სამხრეთ–აღმოსავლეთ მონაკვეთში (SOXII – SO XIII სექტორი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები,	აჭარა - წარსული და თანამედროვეობა V	თბილისი, „კოლორი“	გადაცემულია დასაბეჭდად (26 კომპიუტე-რული ნაბეჭდი გვერდი)
ანოტაცია სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია 2017-2018 წლებში გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების მნიშვნელოვანი შედეგები. საუბარია მიკვლეული ნაგებობის საძირკვლების არქიტექტურასა და დანიშნულებაზე. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობისას მოპოვებული მასალების ანალიზი, მოხდა მათი მნიშვბნელოვანი ნაწილის იდენტიფიცირება და ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა.					
25	Shota Mamuladze, Emzar Kakhidze, Sulkhan Mamuladze	Roman Cults in Gonio-Apsarus (According to archaeological materials),	“Gonio-Apsarus XI”	თბილისი, „უნივერსალი“	გადაცემულია დასაბეჭდად (29 კომპიუტე-რული ნაბეჭდი გვერდი)
ანოტაცია სამეცნიერო ნაშრომში არქეოლოგიურ მასალებსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, საუბარია რომაულ პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებულ კულტებზე, მათ წარმოშობაზე და					

გავრცელების დიაპაზონზე. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იუპიტერ–დოლიქენუსის კულტი, რომელიც ერთ–ერთი დომინანტი რელიგიური მიმდინარეობა გახლდათ რომის იმპერიის მცირე აზიის პროვინციებში, თუმცა, მის პარალელურად ასევე არსებობდა სხვა მიმართულებებიც, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სერაპისის კულტი. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ამ კულტების გავლენები კარგად ჩანს წინაქრისტიანული ხანის ქართულ და ქართველური ტომებით დასახლებულ ხალხთა წარმართულ პანთეონშიც.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

7.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

7.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

7.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Nargiz Akhvlediani** Marina Puturidze	Motivation of The Ancient Toponums and Their Archaeological contexst. DOI: 10.24411 /	The American scholarly journal Cross-Curtural Studies: Education and Science (CCS&ES),Vol 5,	USA cauman	121-132

		2470-1262-2020-10096.	Issve 3, 2020		

ანოტაცია

ნაშრომის მთავარი კონცეპტი არის საკვლევი ობიექტების წარმოჩენა და გაანალიზება ლინგვისტიკისა და არქეოლოგიის თავლთახედვით. კვლევის საგნად შევარჩიეთ უძველესი ტოპონიმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან მცენარის სახელს და სწორედ ისინი იქცევიან არსებით მოტივატორებად დასავლეთ საქართველოს (შიდა კოლხეთი) კონკრეტული ადგილების სახელთა ფორმირების პროცესში. საკვლევი ტერიტორია მდიდარია მცენარეული საფარით, განსაკუთრებით კი კაკლის ხეებით. მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები, ჩვეულებრივ გაფორმებულია ხოლმე სხვადასხვა აფიქსით. თუმცა, არის შემთხვევები როცა მცენარის სახელი პირდაპირ (ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე) ჰქვია გეოგრაფიულ ობიექტს. ამის მაგალითად მოვიტანთ უძველეს ტოპონიმებს -„ნიგოზეთ“-სა და „ნიგვზიან“-ს, რომლებიც დაფიქსირებულია დასავლეთ საქართველოს სწორედ იმ პუნქტებში, რომლებიც არქეოლოგიური ძეგლების სიუხვითაა გამორჩეული. ადამიანთა არსებობის მთელს მანძილზე გარემომცველი მცენარეული სამყარო მისი განუყრელი თანამგზავრი და მთავარი საარსებო საშუალებათაგანია. ხისა, და ზოგადად მცენარეული რესურსების არსებობა, უდიდეს როლს თამაშობს ლოკალური რეგიონის კულტურული თავისებურებების ფორმირებაში. ასეთივე როლი ჰქონდა მას შიდა კოლხეთისათვისაც, სადაც კონკრეტული ბიოგარემოს მნიშვნელობა არა თუ მხოლოდ დიდი იყო აქ მოსახლეთა ცხოვრებაში, არამედ მას ტოპონიმთა ფორმირებაზეც უნდა მოეხდინა გავლენა. საინტერესოა, საარსებო წყაროთა გაფართოებაში მცენარეულ კულტურათა ადგილისა და ფართოდ გამოყენების გათვალისწინება. ადამიანები უძველესი დროიდანვე ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში თავის რაციონში გარკვეულწილად იყენებდენ ნაყოფებს, (მათ შორის კაკალს), ფესვებს და ფოთლებსაც. ეს ხდებოდა მცენარეთა როგორც ველური სახეობების, ისე კულტურული ჯიშების შემთხვევებში, ხოლო ამ უკანასკნელის ფორმირების ხანგრძლივი პერიოდი კი ადამიანთა ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა. ჩვენ მიერ შერჩეული არქეოლოგიური კომპლექსი შესანიშნავად ასახვს ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის ბოლოსა და 1-ის პირველი ნახევრის გეოკულტურული ვითარების ფონს, ხოლო მეორე მხრივ ტოპონიმისა და პალეოგარემოს ურთიერთდამოკიდებულებას.

2	Irakli Baramidze, Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze	Georgia at Paris Peace Conference (1919-1920) ISSN 2078-1296. E-ISSN 2310-6239.	International bilingual scientific Journal «History and Historians in the Context of the Time». №17	The journal is registered in the Federal Service for the Supervision of the Mass Media, Communications and the Protection of Cultural Heritage (Russia). Registration CertificateПИNo ФС77 - 5511226.08.2013 Web-site: http://ejournal3.com/en/index.html	გადაცემულია დასაბეჭდად (14 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდი)

ანოტაცია

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სიტუაციის დარეგულირებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით, მოკავშირეთა სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი და იტალია) 1919 წლის იანვრის გადაწყვეტილებით, პარიზში სამშვიდობო კონფერენცია ჩატარდა. ომის შედეგებმა მსოფლიო ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების ფაქტის წინაშე დააყენა. ამ ახალ-წარმოქმნილ სახელმწიფოებს შორის იყო საქართველოც, რომელმაც აღადგინა XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგული დამოუკიდებლობა. თუმცა, მოპოვებულ დამოუკიდებლობას შენარჩუნება და გამყარება სჭირდებოდა. ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ახალი სახელმწიფოს აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველომ ამ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სცადა. კონფერენციაზე ქართულ დელეგაციას უამრავი სირთულე შეექმნა. სინამდვილეში, მხოლოდ „დიდი ოთხეული“ (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი და

<table>
<tr><td colspan="6">იტალია) იყო კონფერენციის მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები. გერმანიასთან მჭიდრო ურთიერთობის გამო, ანტანტის სახელმწიფოებს გარკვეული უნდობლობა ჰქონდათ საქართველოს მიმართ. ამიერკავკასიაში ისინი სომხეთს უფრო თვლიდნენ დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივის მქონე ქვეყნად, საქართველოს მომავალს კი ან აღდგენილი რუსეთის სახელმწიფოში ხედავდნენ ან სომხეთის დომინანტობით შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში. დენიკინის აშკარა და სომხეთის ფარულმა ანტიქართულმა საქმიანობამ მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.
1920 წლის დასაწყისში თეთრი მოძრაობა დამარცხდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა ბოლშევიკური რუსეთი ემუქრებოდა საქართველოს სუვერენიტეტს. მართალია, ამ დროისთვის დიდმა ევროპულმა სახელმწიფოებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ არავის სურდა რუსეთს შებმოდა მის დასაცავად. ამიტომ, მათ უარყვეს საქართველოს თხოვნა ერთა ლიგაში შესვლის თაობაზე. ასეთმა პოლიტიკამ ახალი სახელმწიფოს მიმართ საბოლოოდ რუსეთს შეუწყო ხელი საქართველოს ოკუპაციაში.</td></tr>
<tr><td>3</td><td>Nino Inaishvili, Giorgi Tavamaishvili</td><td>Petra-Tsikhisdziri Archaeological Site in the Geographical and Cultural Contexts</td><td>Archäologie des Schwarzen Meeres im neuen Licht Herausgeber: F. Bertemes, A. Furtwängler, A. Plontke-Lüning u. K. Rauh</td><td>ZAKS. Archeologia Circumpontica. Martin-Luter-Universitat. Halle -Wittenberg</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="6">პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიური ძეგლი გეოგრაფიულ და კულტურულ კონტექსტებში

ანოტაცია
ნაშრომში განხილულია პეტრა-ციხისძირის სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც გაანალიზებულია როგორც გეოგრაფიულ, ისე კულტურულ კონტექსტებში. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს მონაცემები ერთმანეთს. პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიური ძეგლები ასევე განხილულია დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის, ლაზიკის) შესაბამისი ეპოქისა და ხასიათის ძეგლებთან მიმართებაში.</td></tr>
<tr><td>4</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ქართული პრობლემები ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში;

ISSN1512-0449</td><td>ჟურნ „ამირანი“, №33, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე</td><td>მონრეალი-თბილისი</td><td>გვ. 318-333
(15 გვერდი)</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საზღვარგარეთ, ემიგრაციაში იძულებით გადახვეწილი და იქ მოღვაწე ქართველი ემიგრანტების - ნ. ჟორდანიას, გ. გვაზავას, შ. ოდიშარიას, ი. მანწკავას თუ სხვათა მიერ გააზრებული ქართული სინამდვილის ასახვა. კრიტიკულადაა გაანალიზებული მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებანი საქართველოს გარშემო დატრიალებული ისტორიული მოვლენებისა თუ მათში მიერვე ნათამაშევი როლის შესახებ. განსაკუთრებით კრიტიკულად არის განხილული ნოე ჟორდანია საქმიანობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. საერთოდ, სოციალ-დემოკრატების საბედისწერო როლი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.</td></tr>
</table>

5	უჩა ოქროპირიძე	პარალელური აზრები: ქ-ნ დენიზა სუმბაძის გულწრფელი ძალისხმევა ISSN1512-0449	ჟურნ „ამირანი“, №33, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე	მონრეალი-თბილისი	333-344 (11 გვერდი)
ანოტაცია სტატია ეძღვნება დენიზა სუმბაძის წერილს - ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპისადმი. მასში განხილულია დენიზა სუმბაძის მიერ შემუშავებული შეხედულებანი მსოფლიოს თანამედროვე განვითარებაზე, აშშ-ს პრეზიდენტის მიერ საკუთარ ინაგურაციაზე წარმოთქმულ სიტყვის მიხედვით; მოცემულია, როგორც დონალდ ტრამპის ამ მოსაზრებათა, ისე, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე დენიზა სუმბაძის მიერ მათზე დამყარებული იმედების კრიტიკული ანალიზი. ჩვენს მიერ გამოთქმულია პარალელური აზრები, აღნიშნული პრობლემის მოგვარების სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.				
6	უჩა ოქროპირიძე	ქ-ნ დენიზა სუმბაძის ზოგიერთი ორიგინალური ხედვის ჩვენეული გააზრება ISSN1512-0449	ჟურნ „ამირანი“, №33, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე	მონრეალი-თბილისი	345-354 (9 გვერდი)
ანოტაცია სტატიაში, როგორც მისი სათაური მიგვითითებს, მოცემულია ქალბატონ დენიზა სუმბაძის ნაშრომებში - „მიდმოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე, ანუ ეროვნული დიდხასიათობის “პიროვნული გამოვლენა“, „ამერიკელი ერის ფენომენი“, „დედა-უფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“ - გამოთქმული ორიგინალური ხედვების ჩვენეული გააზრების შედეგად წარმოშობილი პარალელური გააზრებანი, რომლებიც ეხება მარიამ დედოფლის სამეფო პალატებში დატრიალებულ ტრაგედიას, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის შეძახილს რუსეთის იმპერატორისადმი: „შესდექ რუსეთის ხელმწიფევ!“, განხილულია პრობლემა - შეიძლება თუა არა არსებობდეს ამერიკელი ერი, აგრეთვე თამარ მეფის სამების მეოთხე წევრად აღზევების თეორიის ქართული ფესვები და სხვა.				
7	Sulkhan Mamuladze	Military Logistics of Roman garrisons in Apsarus	International Scientific Conference proceedings “Roman Transcaucasia – The Impact of Imperial Neighborhood” 2020	Warsaw University	გადაცემულია დასაბეჭდად

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ელზა ფუტკარაძე	სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში	7-8 ნოემბერი, 2020 წ.ქუთაისი,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია მოხსენებაში საუბარია სიტყვაწარმოების თავისებურებათა შესახებ სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში. საკითხის ანალიზისას ვეყრდნობით 2013-2019 წლებში, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიციის დროს, ჩვენ მიერ ტაო-კლარჯეთში ჩაწერილ დიალექტოლოგიურ ტექსტებს. როგორც ცნობილია, ქართული ენა და მისი დიალექტები მდიდარია სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით. ამ მხრივ, სამხრულ-დასავლური მეტყველება ძირითადად იმეორებს ქართული ენის სიტყვაწარმოებით თავისებურებებს, მაგრამ მაინც გვხვდება ზოგიერთი სპეციფიკური წარმოება. შესაბამისად, მოხსენებაში სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურებაა განხილული. ძირითადად, ქონების, წარმომავლობის, აბსტრაქტულ და კნინობით ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებულ თავისებურებებზეა საუბარი. საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რამდენად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენენ სამხრულ-დასავლური დიალექტები სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით. ბუნებრივია, ისინი იმეორებენ ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს, მაგრამ გამოიკვეთა გარკვეული სპეციფიკურობა. ზოგ შემთხვევაში, მაწარმოებელ აფიქსს ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფუნქცია ჯერ კიდევ აქვს შემონახული. ხშირ შემთხვევაში კი, აფიქსები, სალიტერატურო ენაში მათთვის ჩვეული ფუნქციისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსის გამომხატველად გვევლინებიან.			
2	ნაილე მიქელაძე	უძველესი რწმენა-წარმოდგენები ვაზის კულტთან დაკავშირებით(საარქივო და საველე ექსპედიციების დროს მოძიებული მასალების მიხედვით)	7-8 ნოემბერი, 2020 წ.ქუთაისი,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარია აჭარაში შემონახულ წეს-ჩვეულებებზე, რომელთა გადმოცემებში ფიგურირებს ვაზი. ისტორიულად, ზოგადქართულ ფოლკლორში ვაზის კულტთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები მრავლად გვხდება. მისი მნიშვნელობა და დანიშნულება დღემდე განსხვავებულ სახე-სიმბოლოებთან ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ მცენარეებისა და ცალკეული საგნების გამოყენებას, როგორც მცენარეთა კულტს საქართველოში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და ჩვენი თემის კვლევის მიზანიც სწორედ ესაა.			
3	რუსლან ბარამიძე	ლოკალური კონფლიქტის კვლევის მიდგომა,	თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია „საუბრები ეთნოლოგიაზე“, 10 ნოემბერი, 2020 წ.
მოხსენების მიზანია ლოკალური კონფლიქტების კვლევის მიდგომის ანალიზი. წარმოდგენილი იყო მეთოდის თეორიული საფუძვლები, მისი განხორციელების ელემენტები (დიზაინი, არენა, აქტორი, კონფლიქტი, განვითრება და ა.შ.) და ცალკეული მაგალითები.			
4	ოლეგ ჯიბაშვილი, როინ მალაყმაძე	ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ადამიანური	ერეკლე მეორისა და ანტონ კათოლიკოსის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი

		რესურსები XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის (იგეგმება კონფერენციის მასალათა კრებულის დაბეჭდვა)	სამეცნიერო კონფერენცია; 9 დეკემბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	ოლეგ ჯიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე	ერეკლე მეფის მზადება აღა-მაჰმად ხანის დასახვედრად (იგეგმება კონფერენციის მასალათა კრებულის დაბეჭდვა)	ერეკლე მეორისა და ანტონ კათოლიკოსის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 9 დეკემბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	გიორგი თავამაიშვილი	დაბა ციხისძირის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) პეტ-რას ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მე-4 არქეოლოგიური საანგარიშო ზუმ სესია
7	როინ მალაყმაძე	მარადიდის თემის ისტორიიდან	ქართველოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის დაბადებიდან 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია

ანოტაცია

2014 წელს, აჭარის არ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგენტოს დაკვეთით შემუშავდა პეტრას ციხის რეაბილიტაციის პროექტი, რომლითაც განისაზღვრა ციხის ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობა და მოცულობა. პეტრას ციხის რეაბილიტაციის პროექტში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ცალკეული უბნის თუ ობიექტის სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოების წინსწრებად, როგორც წესი, ჩატარდებოდა ქეოლოგიური სამუშაოები. 2015 წელს განხორციელდა ძეგლის რეაბილიტაციის პირველი ფაზა გალავნის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთებზე, კერძოდ, რესტავრაცია ჩაუტარდა №2 და №3 კოშკებს. 2016 წელს სამუშაოები გაგრძელდა №3 კოშკზე, გალავნის აღმოსავლეთ კედელზე და აღმოსავლეთის კარიბჭეზე. 2017 წელს სამუშაოები დაიგეგმა და განხორციელდა ციხის ორმაგი გალავნის (ე.წ. პროტეიხიზმას) ოთხ ობიექტზე და ციტადელის 3 ობიექტზე.

2020 წლის ივლისში, განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები პეტრას ციხეზე. აღნიშნული საფეხმავლო ბილიკები რამდენიმე ადგილას კვეთს ციხის ტერიტორიას, ზოგ შემთხვევაში გვერ-დით ჩაუვლის და ფაქტობრივად ებჯინება კონკრეტულ ობიექტს (ე.წ. "ცისტერნა", აღმოსავლეთის კარიბჭე, აბანო, სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილოეთი მინაშენი), ერთ შემთხვევაში კი შუაში კვეთს ობიეტს (ტრიტორია ბაზილიკის ნავებსა და ნართექს შორის), სადაც ხიდის მოწყობაა დაგეგმილი.

2020 წლის გათხრების შედეგად დაზუსტდა სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაზე ადრე დაფიქსირებული ადრეული ნაგებობის (ეკლესიის) კონტურები. დამატებით გაიწმინდა ე.წ. „ცისტერნის" მიმდებარე ტერიტორია და გამოვლინდა მრგვალაფსიდიანი ნაგებობა, რომელიც ჩვენი აზრით ბაპტისტერიუმი (სანათლავი) უნდა იყოს და რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრეულ ნაგებობას უნდა დაუკავშირდეს.

8. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Naile Mikeladze, Elza Putkaradze, Naila Chelebadze	For an Understanding of Several Toponyms Related to Queen Tamar	16-20.11. 2020 КАЗАН, КАЗАНСКИЙ ФЕДЕРАЛЬНЫЙ УНИВЕРСИТЕТ

მოხსენებაში წარმოდგენილია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ტოპონიმთა ანალიზი: კერძოდ, `Tarangelozil" გზა //„xanumis gza" (dedoflis gza); „saydri seri" // „Tarangelozi"; „nanefvari // „nefikalo"; oSanaxevis (ოსანა-ხევი); ნეფეკალო; ნადარბაზევი; ნაქალაქევი...

ტოპონიმიკა ყოველთვის უკავშირდებოდა ისტორიას და ქმნიდა საისტორიო გეოგრაფიას. ფოლკლორული მასალები, კერძოდ, ტოპონიმური გადმოცემები გენეტიკურად განუყრელი იყო ამ კუთხის ისტორიული წარსულთან.

ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ ტოპონიმებისა და მასთან დაკავშირებული თქმულება -გადმოცემების კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ფოლკლორული წყაროს ყველა ახალი მიგნება და მისი მეცნიერული ანალიზი კუთხის ისტორიის უკეთ შესწავლაში დაგვეხმარება. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა.

ნაილა ჩელებაძე

ონლაინ კონფერენცია - „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი - დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საკითხებთან დაკავშირებით“ 2020 წ. 16-17-20 ოქტომბერი.
https://m.facebook.com/story.php?story_fbid=1244863412564303&id=100011219678146

რუსლან ბარამიძე

ტრენინგი „Insights: Design of the science communication activities“, პროექტების „ჰორიზონტი 2020“ და „მეცნიერება კაპიტანია“ ერთობლივი ტრენინგ პროექტი „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ (GE 18 ENI OT 02 19), 2020 წლის 19-20 ნოემბერი.

ლექცია სკოლაში - პროექტი „მეცნიერება კაპიტანია“ ფარგლებში ჩატარდა ლექცია ბათუმის #25 საჯარო სკოლაში, თემა: „რატომ ანთროპოლოგია“, 2020 წლის 25 ნოემბერი.

გრანტი - აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უცხოურენოვანი ლიტერატურის თარგმნის პროგრამის ფარგლებში 2020-2021 წლებში ხორციელდება პროექტი: მარტინ ფრედრიქსენის ნაშრომის „ახალგაზრდები, დრო და მოწყენილობა საქართველოს რესპუბლიკაში“. პოზიცია პროექტში: რედაქტორი.

ონლაინ სემინარი - მეხსიერების პოლიტიკის კრიზისი საქალაქო დონეზე, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2020წ. 29 ივნისს,

ოლეგ ჯიბაშვილი

საანგარიშო პერიოდში იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის სტუდენტის - ირაკლი ფერსელიძის მიერ ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის - „ომერ-ფაშას ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში“ - მეცნიერ-ხელმძღვანელი.

2020 წლიდან არის საერთაშორისო ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის «History and Historians in the Context of the Time» სარედქციო საბჭოს წევრი (http://ejournal3.com/ru/redakcionniy-sovet.html)

22.12.2020 - მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ აჭარაში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა მასობრივი სამარხების საკითხზე გამართულ ონლაინ-დისკუსიაში.

23.12.2020 - იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ ფირათ ჩაქირის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის – ახალციხის საფაშო 1774-1829 წლებში, ქუჩუკ-კაინარჯიდან ადრიანოპოლის ზავამდე (ოსმალური წყაროების მიხედვით) – საჯარო განხილვაზე.

25.12.2020 - იყო ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბიჭიკო დიასამიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ონლაინ-საღამოს თანაორგანიზატორი; წაიკითხა მოხსენება - „ბიჭიკო დიასამიძის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში“

ნინო ინაიშვილი

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა კონკურსში ერთ–ერთი გამარჯვებულია ნ.ინაიშვილის მიერ უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი პროექტი: სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის - “Young Men, Time and Boredom in the Republic of Georgia” ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნა. სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის უკვე გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რითაც გრანტის გამცემი (სამინისტრო) გრანტის მიმღებს (ბსუ-ს) ერთჯერადად, უსასყიდლოდ გადასცემს თანხას (გრანტი),

რომელიც შეადგენს 6 400 (ექვსი ათას ოთხასი) ლარს. ხელშეკრულების თანახმად, ხსენებული წიგნის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის ვადები განისაზღვრა ცხრა თვით (2020 წლის სექტემბერი–2021 წლის ივნისი). პროექტის ორგანიზატორია ნინო ინაიშვილი, ხოლო რედაქტორი – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რუსლან ბარამიძე.

ოთარ თურმანიძე

იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ ფირათ ჩაქირის მეცნიერ-ხელმძღვანელი. დოქტორანტის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის – ახალციხის საფაშო 1774-1829 წლებში, ქუჩუკ-კაინარჯიდან ადრიანოპოლის ზავამდე (ოსმალური წყაროების მიხედვით) – საჯარო განხილვა განხორციელდა 23.12.2020.

უჩა ოქროპირიძე

საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელობდა ბსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტ თორნიკე ნოღაიდელს ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შერჩეული თემის - „აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან“ - მომზადებაში.

23.12.2020 - იყო თურქეთის მოქალაქის ფირათ ჩაქირის ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო სადისერტაციო საბჭოზე წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის - ახალციხის საფაშო 1774-1829 წლებში, ქუჩუკ-კაინარჯიდან ადრიანოპოლის ზავამდე (ოსმალური წყაროების მიხედვით) - ოპონენტ-შემფასებელი.

ვარ ჟურნალ „ამირანის“ (ელექტრონული ვერსია) - კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომების“, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულების - „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ და „ჩვენი სულიერების ბალავარი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

25.12.2020 - ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბიჭიკო დიასამიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ონლაინ-საღამოზე წაიკითხა მოხსენება - „ბიჭიკო დიასამიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“.

გიორგი თავამაიშვილი

პეტრა-ციხისძირის 2020 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია – ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით პეტრას ციხეზე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ექსპედიციის ხელმძღვანელი – გიორგი თავამაიშვილი, წევრი – ნინო ინაიშვილი). საველე სამუშაოები განხორციელდა იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც გათვალისწინებულია ტურისტული ბილიკების მოწყობა. დაიწყო მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერალურ დამუშავება.

მაია ჭიჭილეიშვილი

სარედაქციო საქმიანობა: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული - „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, ტომი VIII (2020 წ.) - მთავარი რედაქტორი.

ირინა ვარშალომიძე

13.03.2020 - სადისერტაციო საბჭოს წევრი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ისტორიის დეპარტამენტის დოქტორანტ ვაჟა ფარტენაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე.

საანგარიშო წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ისტორიის დეპარტამენტის არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის I კურსზე კითხულობდა ლექციების კურს პრეისტორიულ არქეოლოგიაში.

მონაწილეობა მიიღო, როგორც ნუმიზმატმა, რუსთავი 2-ის, კერძოდ ირაკლი იმნაიშვილის დოკუმენტურ ფილმში - "უსაფლავო მიცვალებულები". რომელიც გავიდა 29.11.2020 რუსთავი 2-ის ტელეეთერით.

მონაწილეობდა ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერის წარმატებული საქმიანობის შესახებ შექმნილ ვიდეო რგოლში, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალზე“, საგრანტო პროექტის „მეცნიერება კაპიტანიას“ ფარგლებში.

<u>მერაბ მეგრელიშვილი</u>

10.08.2020 - გაზეთ ალიონში (№20) გამოაქვეყნა სტატია „ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში XX საუკუნის დასაწყისში“.

<u>სულხან მამულაძე</u>

გონიო-აფსაროსის 2020 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია – ციხე-სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ექსპედიციის ხელმძღვანელი – შოთა მამულაძე). ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება.

ვარ ძირითადი შემსრულებელი ბსუ-ს 2020 წლის მიზნობრივი-სამეცნიერო პროექტის ‘შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნო-ბოტანიკური)’.

როინ მალაყმაძე

22.12.2020 - მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ აჭარაში აღმოჩენილი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა მასობრივი სამარხების საკითხზე გამართულ ონლაინ-დისკუსიაში.

10.11.2020- მონაწილეობა მიიღო თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ასოციაცის მიერ გამართულ ონლაინ-დისკუსიაში, რომელიც ეძღვნებოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიისა და კულტურის საკითხებს;

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი რ. მალაყმაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ვარშალომიძე